



„ქართული გენია როკით განუენილი“

# საქართველოს ჟურნალისტთა ასოციაცია

ბაზირებულია 1992 წლის იანვრიდან

№1 (35), იანვარი, 2012 წელი

საქართველოს ჟურნალისტთა ასოციაციის კავშირი

## ქართული ერის აზრის ნათევა



### დიდქართული

ჩვენს სალოცავ ქვეყანას ყველა დროში უჩინდებოდა დიდქართველნი, ერის სულიერ ცხოვრებაში რომ შექმნოდნენ „კვალი განათლებული“. უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II, ამ მხრივ, მართლაც საამაყო და მისაბაძი. ღირსებაშემკულ სასულიერო მოღვაწეს უდიდეს პატივს მიაგებს ერი და ბერი, ახალგაზრდობა, სხვა ერის და მრწამსის მოქალაქენი.

იგი ავტორიტეტულია ჩვენი სამშობლოს მიღმაც, რასაც განაპირობებს მისი სიბრძნე, ღრმა განსწავლულობა და კეთილგონიერება, ეროვნული ქრისტიანული რწმენისთვის მოუღლეელი გუთნისდედობა.

სწორედ მის პიროვნულ გამორჩეულობას შეესატყვისება დიდი ილია მართლის ნააზრევი XIX საუკუნის 50-იან წლებში რომ თქვა მღვდელმთავარ გაბრიელ ქიქოძეზე: „არვიცი, რომელ მხრიდან დავუწყოთ ყურება, რადგანაც ყოველ მხრიდან დიდებული სანახავია... თვითული წამი მისის ცხოვრებისა - მოძღვრებაა, მაგალითია, ანდერძია ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისათვის. ერთადეკი მთელი მისი ცხოვრება ერთი დიდი სკოლაა მაღალსათნოებისა და სიყვარულისა, მართლისა და ჭეშმარიტებისა, მაღლისა და მონყალეებისა“...

უწმინდესი და უნეტარესი დღენი-ადაგ შთაგვაგონებს, ვუერთგულოთ უკვდავებასთან ნაზიარებ მოწოდებას: „მამული, ენა და სარწმუნოება“, რომელიც მან ასე გააფართოვა: „ღმერთი, სამშობლო, ადამიანი“ და გვითხრა - „თუ ადამიანი დაკარგავს ღვთის რწმენას, თავის სამშობლოს და კეთილ ურთიერთობებს, ეს ცუდად დასრულდება. ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ დავეხმაროთ ადამიანებს, მნიშვნელობა არ აქვს, ის რომელი რწმენის და ეროვნებისაა“. დიხს, ყველა სიკეთეს წვდება და ესიყვარულება მისი მაღალსათნოების, უშრეტი აზროვნების სიცხადე. დიდი სიყვარულით ამოაფერა ქართული ცეკვის სახოტბო მარილიანი სიტყვა: „...ქართული ცეკვა კდემამოსილების, ვაჟკაცობის, სიბრძნის, სიძლიერის და ამღლებული სიყვარულის საგალობელია. მის მრავალფეროვნებასა და მრავალსახეობაში ნათლად ჩანს... ერთიანი სულის გამოძახილი. ქართული ცეკვა ჩვენი სიამაყეა... ჩვენი მეობის ღირსეულად წარმომჩენი...“

ასე გვაერთიანებს, გვასულდგმულებს ქართველი ერის გონიერების, სინდისის, ნიჭიერებისა და ზნემაღალი სულიერების ხუროთმოძღვარი, მსოფლიოს ქრისტიანულ სამყაროში ჩვენი მეობის მზის ნათებად რომ მოვლენილა.

საქართველოს ჟურნალისტთა ასოციაციის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი გულითადად, უდიდესი მოკრძალებითა და უღრმესი პატივისცემით ულოცავს მის უწმინდესობას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსსა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს ილია II-ს დაბადებიდან 79 წლისთავს და აღსაყდრებიდან 34 წლისთავს. უსურვებს ჯანის სიმრთელეს და დიდხანს სიცოცხლეს სრულიად საქართველოს საკეთილდღეოდ.



### ქრონიკა

2012 წლის 26 იანვარს გაიმართა საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის მრჩეველთა საბჭოს გაფართოებული სხდომა. მუშაობას უძღვებოდა კავშირის თავმჯდომარე, პროფესორი რეზო ჭანიშვილი. სიტყვით გამოვიდა მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე, ბატონი ფრიდონ სულაბერიძე. სხდომაზე შეაჯამეს 2011 წელს განხორციელებული მუშაობა და განიხილეს ახალი წლის სამუშაო გეგმა. ისაუბრეს ახალი სახელობითი პრემიებისა და მედლების დაწესების, ცნობილი ქორეოგრაფების საიუბილეო თარიღების ღირსეულად აღნიშვნის შესახებ,

მემორიალური დაფების განთავსების თაობაზე. დასახეს ღონისძიებები ქართული ქორეოგრაფიის დღის ღირსეულად შესახვედრად. სხდომაზე იმსჯელეს ქართული ქორეოგრაფიის განვითარების საკითხებზე, არსებულ პრობლემებზე და მათი დაძლევის გზებზე. მოსაზრებები გამოთქვეს საბჭოს წევრებმა: რევაზ ჭოხონელიძემ, ფრიდონ სულაბერიძემ, ომარ მხეიძემ, ბესიკ სვანიძემ, გელოდი ფოცხიშვილმა, უჩა დვალაშვილმა და სხვებმა.

31 დეკემბერს გაიმართება შეხვედრა რეგიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან.



### ტრენინგ-სემინარები ქუთაისში

2012 წლის იანვრის პირველ ნახევარში საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის სპეციალისტთა ერთი ჯგუფი ქუთაისს ეწვია. საქართველოს ამ უძველეს და ულამაზეს ქალაქში სტუმრობის მიზანი იყო ახალგაზრდა, დამწყებ ქორეოგრაფებთან შეხვედრა და მათთვის ტრენინგ-სემინარების ჩატარება. ღონისძიებაში, რომლის ორგანიზატორიც იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე, ღვანლმოსილი ქორეოგრაფი, ბატონი ავთანდილ ლომთაძე იყო, სამ ათეულზე მეტმა დამწყებმა სპეციალისტმა მიიღო მონაწილეობა. გაიმართა საქმიანი საუბრები ქორეოგრაფიის პრობლემებზე. საუბრებს უძღვებოდნენ კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი ოლეგ ალაიძე, ცნობილი ქორეოგრაფი, ხეკოვნებათმცოდნე, ასევე კავშირის თავმჯდომარის მოადგილე,

იური ტორაძე და ავთანდილ ლომთაძე. ახალგაზრდებმა მოისმინეს რამდენიმე საინტერესო მოხსენება, პასუხი გაეცა დასმულ შეკითხვებს, დაისახა სამომავლო სამოქმედო გეგმები, რომლებიც ახალგაზრდა ქორეოგრაფების მომზადების, მათი გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პრობლემებთან არის დაკავშირებული.

ტრენინგ-სემინარის მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.

გამოითქვა აზრი, რომ ახალგაზრდი მუშაობის არეალი უნდა გაფართოვდეს, მოიცავს ყველა რეგიონი და მუნიციპალიტეტი, რაც საშუალებას მოგვცემს, ქვეყნის მასშტაბით შევექმნათ ერთიანი ქორეოგრაფიული სივრცე, ჩამოვაყალიბოთ პრობლემების ხედვის მკაცრად გამოკვეთილი რაკურსი.

მურმან გამოსონია

### უკრაინის პრეზიდენტმა მაკა ლომსაძე დააჯილდოვა



უკრაინის დამოუკიდებლობის 20 წლის-თავთან დაკავშირებით, დამოუკიდებელი უკრაინის სახელმწიფოს სოციალ-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო კუთხით განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის უკრაინის პრეზიდენტის ვიქტორ იანუკოვიჩის 2011 წლის 1 დეკემბრის ბრძანებულებით კიევის ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „იბერიელის“ ხელმძღვანელს მაკა ლომსაძეს მიენიჭა უკრაინის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი გულითადად ულოცავს ქალბატონ მაკა ლომსაძეს ამ უდიდეს ჯილდოს და უსურვებს შემდგომ წარმატებებს.

### რევაზ ჭოხონელიძე 74 წლისაა!



2012 წლის 11 თებერვალს გამოჩენილ ქართველ ქორეოგრაფს რევაზ ჭოხონელიძეს დაბადების დღე აქვს, იგი 74 წლის ხდება. ბატონი რევაზი გახლავთ საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, მსოფლიოს ხალხთა VII, VIII, IX ფესტივალების ლაურეატი და ოქროს მედალოსანი, საპატიო ნიშნის ორდენის კავალერი, ანსამბლ „ერისიონის“ მთავარი ქორეოგრაფი 1986 წლიდან, არის საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის მრჩეველთა საბჭოს წევრი.

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი გულითადად ულოცავს დაბადების დღეს ბატონ რევაზ ჭოხონელიძეს, უსურვებს ჯანმრთელობას და ახალ-ახალ წარმატებებს ქართული ქორეოგრაფიის სადიდებლად.

### „ხორუმი“ ათი წლის ხდება

ბათუმის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „ხორუმი“ მისი ათი წლის იუბილეს აღნიშნავს. ამ ხნის განმავლობაში მან არაერთ წარმატებას მიაღწია. ანსამბლის დამაარსებელი, დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, მთავარი ქორეოგრაფი, საქართველოს დამსახურებული არტისტი თემურ ბიბილიაშვილი განვლილი 10-წლიანი შემოქმედებითი გზის შესახებ გვესაუბრა.

- ანსამბლი „ხორუმი“ 2002 წელს შეიქმნა, მაგრამ ვარდების რევოლუციის შემდეგ დაიშალა, თუმცა ამის მიუხედავად, მშობლების დიდი მონადინებითა და მათივე დახმარებით, „არალეგალურად“ მიიწვი ფუნქციონირებდა, - გვითხრა ბატონმა თემურ ბიბილიაშვილმა, - ბავშვები ჩვენთან 7-8 წლისანი მოვიდნენ და სამი წლის შემდეგ უკვე სამი-ოთხი ცეკვა იცოდნენ. ერთხელ, როცა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ბათუმში უცხოელ ჟურნალისტებს შეხვდა, ანსამბლს საშუალება მიეცა მათ წინაშე თავისი ხელოვნება წარმოეჩინა. მაშინ ჩვენთან ერთად შესანიშნავად გამოვიდა აჭარის ვაჟთა სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი „ბათუმი“. სტუმრები მოიხიბლნენ პატარა მოცეკვავეების გამოსვლით და ბატონი პრეზიდენტი კონცერტის შემდეგ დაინტერესდა ჩვენი პირობებით. როცა ყველაფერი ვუამბეთ, აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს ლევან ვარშალომიძეს სთხოვა ანსამბლისათვის ყურადღება მიექცია... იმ დღიდან მოყოლებული, ბატონი ლევანი ყველაფერს აკეთებს ჩვენს დასახმარებლად. მაშინვე გამოვიყვეს სარეპეტიციო დარბაზი და კოსტუმების შესაკერი თანხა, დაგვიქირავეს მუსიკოსები. ჩვენც, რა თქმა უნდა, ყველაფერს ვაკეთებთ, რომ თავი არ შევირცხვინოთ.

მას შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის წინაშე არაერთხელ გამოვსულვართ. ერთ-ერთი დასამახსოვრებელი იყო ამერიკის შეერთებული შტატების სენატორის ჯონ მაკკეინის მიხეილ სააკაშვილთან სტუმრობისას გონიოს ციხეში სუბიშვილების ნაციონალურ ბალეტთან ერთად გამოსვლა. ჩვენც და „სუბიშვილებიც“ სამ-სამი ცეკვით წარვსდექით და დიდი ოვაციაც დავიმსახურეთ. ამას ჩვენი ანსამბლის პოლონეთის ფესტივალზე გამგზავრება მოჰყვა, მაგრამ იქ ბოლომდე არ დავრჩენილვართ, რადგანაც საქართველოს პრეზიდენტის დაჯილდოვებით საქართველოში გამოგვიძახეს. ჩამოსვლისთანავე შესანიშნავ კონცერტში მივიღეთ მონაწილეობა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის ჯოზეფ ბაიდენის ჩამოსვლას ეძღვნებოდა.

საერთოდ, ანსამბლი ამ ათი წლის განმავლობაში (15 ქვეყანაში 25-ჯერ გამოვიდნენ) წარმატებით გამოვიდა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, მაგრამ ერთს მაინც განსაკუთრებულად გამოვყოფ: იტალიაში გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო კონკურსზე,



რომელშიც 22 ქვეყნის საუკეთესო კოლექტივები მონაწილეობდნენ, „ხორუმი“ გრან-პრის მფლობელი გახდა. აქ ყურადღება ყველაფერს ექცეოდა - მუსიკალურ გაფორმებას, კომპოზიციას, კოსტუმებს და ყველა ნომინაციაში უმაღლესი ქულა დაიმსახურა. მაყურებელმაც ყველაზე მაღალი შეფასება მოგვცა.

ამჟამად ანსამბლში 21 საცეკვაო ნომერია. რა თქმა უნდა, მუშაობის სტიმულს გვაძლევს ის, რომ დიდი თანადგომა გვაქვს როგორც პრეზიდენტისგან, ისე აჭარის მთავრობისგან. ყოველწლიურად ერთ-ერთი გასტროლი მაინც გვაქვს უცხოეთში (შარშან ბრწყინვალედ გამოვიდით ჩინეთში, ისევე ანსამბლ „ბათუმთან“ ერთად), თითოეული მოცეკვავისთვის ინდივიდუალურად იკერება რამდენიმე საცეკვაო კოსტიუმი, რომელსაც შემდეგ „ხორუმი 2“-ის მოცეკვავეები იყენებენ (აქ პატარები ცეკვავენ). ამჟამად ორივე ანსამბლში 100-ზე მეტი მოცეკვავეა და რაოდენ სასიხარულოა, რომ ჩვენი შრომა ასე ფასდება. შემოდგომაზე, პერუს ვიცე-პრეზიდენტის საქართველოში სტუმრობისას, ბათუმის „პიატაზე“ კონცერტის შემდეგ, პრეზიდენტი საჩუქარს დაგვიპირდა და შეგვირულა კიდევ - სპეციალურად ჩვენთვის ამერიკიდან ინგლისური ენის მასწავლებელი მოინვიდა, რომელიც სამი თვის განმავლობაში ანსამბლის თითოეულ წევრს ინგლისურ ენას ასწავლიდა. „ხორუმი“ მალტაში იმყოფებოდა (მათ თან ახლდნენ ანსამბლის ორგანიზატორი ლილი ვარშანიძე და ქორეოგრაფები: თორნიკე დოლიძე და თამარ კერვალიშვილი), სადაც ისევ პრეზიდენტისა და აჭარის მთავრობის თანადგომით ორი კვირის განმავლობაში ინგლისური ენის ცოდნას იღრმავებდნენ. ეს კიდევ ყველაფერი არ არის. ინგლისური ენის კიდევ უფრო განსამტკიცებლად, მისიში საქართველოს პრეზიდენტი მოცეკვავეებს ორთვიანი მივლინებით ლონდონში გამგზავრებას ჰპირდება. ანსამბლის სახელით მადლობა მინდა გადავუხადო მიხეილ სააკაშვილს და აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს ლევან ვარშალომიძეს იმ დიდი თანადგომისა და მხარდაჭერისათვის, რასაც ჩვენს მიმართ იჩენენ.

მანანა ძიძიშვილი,  
ვახუთი „აჭარა“, 12-13 იანვარი, № 4

### ბილოსავთი!

საქართველოს ქოხეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი დაბადების დღეს ულოცავს ქოხეოგრაფებსა და მოცეკვავეებს:

ალექსანდრე დარახველიძეს .....	1 იანვარი, 1931;
გულიკო სიხარულიძეს .....	4 იანვარი, 1951;
გოჩა ყველაიძეს .....	19 იანვარი, 1971;
ომარ ხურციძეს .....	20 იანვარი, 1946;
სოფიო იაშვილს .....	25 იანვარი, 1938;
კობა დუნდუას .....	26 იანვარი, 1974;
ზაზა ბოლქვაძეს .....	27 იანვარი, 1965;
გოდერძი ლომაძეს .....	28 იანვარი, 1985;
აივინგო ვაშაქიძეს .....	31 იანვარი, 1940;
ელენე წერეთელს .....	1 თებერვალი, 1929;
ჯუმბერ (ამირან) ინაიშვილს .....	1 თებერვალი, 1949;
ნუგზარ შალიკაშვილს .....	2 თებერვალი, 1948;
იზოლდა მსხილაძეს .....	3 თებერვალი, 1939;
ბესარიონ ოთიაშვილს .....	4 თებერვალი, 1984;
თენგიზ ჭალაიძეს .....	6 თებერვალი, 1964;
როლანდ ტატიშვილს .....	8 თებერვალი, 1947;
მამუკა მესხიშვილს .....	8 თებერვალი, 1967;
ვიტალი აბაკელიას .....	10 თებერვალი, 1950;
ვაჟა სუდაძეს .....	11 თებერვალი, 1965;
ზაზა ლურსმანაშვილს .....	12 თებერვალი, 1972;
გენადი სურმანიძეს .....	15 თებერვალი, 1963;
შარლოტა ბარამიძეს .....	17 თებერვალი, 1925;
პამელე კობეშვიძეს .....	25 თებერვალი, 1935;



### ანსამბლი „ლილე“ - პირველად დიდ სცენაზე



ქორეოგრაფი დავით აფხაზავა დაიბადა 1974 წლის 25 ნოემბერს ბათუმში. 1992 წელს დაამთავრა ბათუმის მე-16 საშუალო სკოლა. დამთავრებული აქვს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. 7 წლის ასაკში დაიწყო ცეკვა ბათუმის მე-16 საჯარო სკოლაში ბატონ თემურ ბიბილიძის ხელმძღვანელობით. 1990-2002 წლებში მოღვაწეობდა დაიწყო აჭარის მელიტონ კუხიანიძის სახელობის სახელმწიფო ანსამბლში მოცეკვავე მსახიობად. 1995-2002 წლებში იმუშავა აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დამდგმელ ბალეტმასტერად. 2002-2006 წლებში მუშაობდა ანსამბლ „ბათუმში“ მოცეკვავე მსახიობად. 1994 წლიდან 2002 წლამდე მუშაობდა აჭარის სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ანსამბლში მთავარ ქორეოგრაფად. 2006 წლიდან ხელმძღვანელობს ბათუმის წმინდა ილია მართლის სახელობის სასულიერო ბალეტის არსებულ ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ლილეს“.

ბათუმის წმინდა ილია მართლის სახელობის სასულიერო ბალეტის არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ლილე“ ერთ-ერთი წარმატებული ანსამბლია ბავშვთა ანსამბლებს შორის. მიუხედავად მისი ხანმოკლე ისტორიისა აქვს სხვადასხვა ფესტივალ-კონკურსების ლაურეატობის ნოდები. ახლანდელ „ლილემ“ მონაწილეობა მიიღო საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის მიერ გამართულ წლის შემაჯამებელ მთავარ კონცერტში. ანსამბლი პირველად გამოვიდა დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე.

- ნამდვილად შესანიშნავი ღონისძიება იყო, დიდი სტიმული და პასუხისმგებლობა მოცეკვავისათვის ქვეყნის მთავარი საკონცერტო დარბაზის სცენაზე გამოსვლა. მით უმეტეს, როცა დარბაზი გადაჭედებულია მაყურებლებით და, გარდა ამისა, შენს ცეკვას აფასებენ საქვეყნოდ ცნობილი სპეციალისტები - რეზო ჭანიშვილი, რეზო ჭოხონელიძე, ომარ მხეიძე, ფრიდონ სულაბერიძე, რომელი ერთი ჩამოვთვალა. - შთაბეჭდილებებს გვიზიარებს „ლილეს“ ხელმძღვანელი დავით აფხაზავა. - ბავშვებს არასოდეს დაავიწყდებათ აქ გამოსვლა, გაიცნეს სხვა დიდებული საბავშვო ანსამბლების მოცეკვავეები, იხილეს შესანიშნავად დადგმული ქართული ცეკვები. ბავშვებმა საკუთარი თვლით იხილეს ქართული ქორეოგრაფიის, ქართული ცეკვის ლეგენდები. გვიხარია, რომ ჩვენმა გამოსვლამაც მოწონება დაიმსახურა. ეს მხოლოდ ჩემი დამსახურება არ არის. თანადგომისათვის მინდა, მადლობა გადავუხადო ბათუმისა და ლაზეთის, ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტს, მეუფე დიმიტრის და ქალბატონ ირინა თავაძეს. ვულოცავ ყველა ქორეოგრაფს, ყველა ანსამბლს გამარჯვებას, ცოტას როდი ნიშნავს სახელად გერქვას სანიმუშო საბავშვო ქორეოგრაფიული ანსამბლი, ანდა იყო წლის ქორეოგრაფი. ყველა საბავშვო ანსამბლის მიზანი ამ წოდების მოპოვება უნდა იყოს. რჩევა-დარიგებებით გვერდში გვიდგანან ცნობილი ქორეოგრაფები თამაზ ბეჟანიძე, ამირან პაიჭაძე, შალვა გოგუაძე, მერაბ დოლიძე. მადლობა მათ. მადლობა საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის ხელმძღვანელობას ასეთი ლამაზი და დიდებული ღონისძიებისათვის.

## მადლობა

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი 2011 წელს ადგილებზე განეული მუშაობისათვის, კავშირთან სიტყვითური და აქტიური თანამშრომლობისათვის მადლობას უხდის კავშირის რეგიონალური ორგანიზაციების ხელმძღვანელებს:

- თამაზ ბეჟანიძეს (აჭარის ორგანიზაცია);
- ნინო ტურიაშვილს (თბილისის ორგანიზაცია);
- ჯეირან გოგინავას (იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმ, ქვემო სავანეთის ორგანიზაცია);
- ვანო ფიქრიშვილს (კახეთის ორგანიზაცია);
- თენგიზ ჯავახიშვილს (შიდა ქართლის ორგანიზაცია);
- თამაზ მოსიას (სამეგრელო-ზემო სვანეთის ორგანიზაცია);

- ნოდარ აბულაძეს (ქვემო ქართლის ორგანიზაცია);
- სამსონ მენაბდიშვილს (სამცხე-ჯავახეთის ორგანიზაცია);
- მელისი ნადირიძეს (გურიის ორგანიზაცია);
- ალეკო ზაქაიძეს (მცხეთა-მთიანეთის ორგანიზაცია);
- მერაბ დოლიძეს (ქ. ბათუმის ორგანიზაცია);
- გიგლა თურქიას (ქ. ფოთის ორგანიზაცია).

### საკითხის დასმის წესით

# 110 წლიანი მთლიანობა

წინამდებარე წერილში ერთი კონკრეტული იდეის დაანონსებას ვაპირებთ. 2012 წელს ზუსტად 110 წელი სრულდება იმ დღიდან, როდესაც „მთაწმინდელ მოცეკვავედ“ წოდებულმა, უაღრესად ღირსეულმა პიროვნებამ ალექსი ალექსიძემ (სონღულაშვილმა) თბილისში პირველი ქორეოგრაფიული სტუდია დააარსა, გარს ნიჭიერი ახალგაზრდობა შემოიკრიბა და ეროვნული საცეკვაო ხელოვნების სწავლების მის მიერვე შექმნილი სისტემის რეალიზება დაიწყო.

დღევანდელი გადასახედიდან ნათლად ჩანს, რომ ეს იყო ნაბიჯი, რომლითაც საფუძველი ჩაეყარა ქართული საცეკვაო ხელოვნების განვითარების ახალ ეტაპს, მასთან ერთად კი მანამდე არარსებული ეროვნული ორიენტაციის კადრების აღზრდის, სისტემის ფორმირებას. ბუნებრივია, ნათქვამი ისე არავინ უნდა გაიგოს, თითქოსდა მანამდე არავის არაფერი უკეთებია, ან კიდევ უცხო და მოულოდნელი მოვლენა ყოფილიყო ქართველთათვის. ცხადია არა, ქართველი კაცი წარმართულ ეპოქაშიც ცეკვავდა, ანტიკურ ხანაშიც, შუა საუკუნეებშიც და მის მერეც. ცეკვა ლექსთან, სიმღერასთან და რიტუალთან ერთად ყოველთვის იყო მისი ყოველდღიური ყოფის, შრომის, ჭირისა თუ ლხინის აუცილებელი შემადგენელი ელემენტი. ამასთან, ეს იყო ეთნოყოფა, ანუ სოფლისა და ქალაქის არსებობის ბუნებრივი მდგომარეობა, სადაც ცეკვას მისთვის კუთვნილი ადგილი ეჭირა.

ახალი ეტაპი ცეკვის ხელოვნების განვითარებაში, რაზედაც საუბარი იყო ზემოთ, მას მერე იწყება, როდესაც საცნაურდება, რომ ეთნოყოფის შემადგენელი ეს ელემენტი თავისთავადი, დამოუკიდებელი ღირებულების მქონეა, ეროვნული მნიშვნელობის სიმდიდრეა და მას არა მარტო შესწავლა, არამედ სახალხო სახილველის სახით მომზადება და სასცენოდ საჩვენებლად გამოტანა ესაჭიროება.

XX საუკუნის დასაწყისისათვის, როდესაც ალექსი ალექსიძე „აზიური ცეკვის“ სტუდიის დაარსებაზე ფიქრობდა, ევროპისა და რუსეთში სასცენო ხელოვნების - თეატრის, ოპერის, ბალეტის, თვით ასევე ცეკვის შესწავლისა და განვითარების პროცესი უკვე შორს იყო წასული. არსებული ისტორიული რეალობის გათვალისწინებით, ამათგან ბევრი რამ შემოსული იყო საქართველოშიც. იწყებოდა ველური კაპიტალიზმის ეპოქა, წინ მიიწვევდა საქალაქო და სასოფლო ცხოვრების დიფერენციაცია, იკვეთებოდა ურბანიზმის ნიშნები, რის გამოც სოფლის ყოფა მთელი მისი ნაირფეროვნებით ნელ-ნელა უკან იხევდა. როგორც ჩანს, გონიერმა ადამიანებმა, მათ შორის უპირველეს ყოვლისა ალექსი ალექსიძემ, ეს პროცესები კარგად დაინახეს და მიხედნენ, რომ შესასწავლი, შესანახი იყო ის „ხალხური სული“, რომელიც ტრადიციული ქართული ყოფისათვის იყო დამახასიათებელი და რომელსაც ფასი სამომავლოდ უფრო დაეძვებოდა.

დრომ და განვითარებულმა მოვლენებმა ამგვარი მიდგომების სისწორე აშკარად დაადასტურეს.

ეთნოგრაფიული ყოფიდან ამოკრეფილი მარგალიტების სასცენოდ მობრუნების ეტაპი ქართული ხალხური ცეკვის გადარჩენის გონიერი და ოპტიმალური გზა გამოდგა.

ბუნებრივია, ეს ხანგრძლივი და დიდი შრომის შედეგად მოხდა. მომდევნო წლებში, ალექსი ალექსიძის დარად, ძალიან ბევრმა ღირსეულმა ადამიანმა ჩადო საკუთარი ღვაწლი აღნიშნულ საქმეში. ამის მეოხებით ჩამოყალიბდა სკოლები, შეიქმნა ანსამბლები, გაიზარდა თაობები და მსოფლიოს ყველა კონტინენტს მოეფინა ქართული ცეკვის სურნელი.

გვირგვინად ადგას ქართულ ქორეოგრაფიული კულტურის სადღესო მდგომარეობა, მისი მიღწევები და წარმატებები. საკმაოდ და საფიქრალი არც დღეს აკლია ქართულ ქორეოგრაფიას. ამ მხრივ, განსაკუთრებული განსჯის საკითხია ტრადიციისა და ნოვატორობის იმგვარი გამოვლინებები, რასაც ადგილი აქვს დღევანდელ რეალობაში.

არაფერია გასაკვირველი იმ ფაქტში, რომ მასობრივი ცნობიერება, ადამიანთა მოლოდინები ცნობილ თუ ნაკლებად ცნობილ ქორეოგრაფიულ ანსამბლებს, მათ ხელმძღვანელებს, აგრეთვე იქ მოღვაწე მსახიობ-მოცეკვავეებს მაღალ კრიტიკიუმებს და ეროვნული იდეალებისათვის მიზანმიმართული საქმიანობის კეთილსინდისიერად აღსრულებას მოთხოვნას უწესებს. პატარა, თუმცა კულტურის დონით გამორჩეულ ერებს, ამ მხრივ, განსაკუთრებული მოსაზრებები და განსაკუთრებული თვითგანცდის ჩვევები აქვთ გამოშუშავებული. ეს უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა, ხელოვნების საშუალებით ერი ხშირად იმ ოცნებას, იმ სანუზარსა და დაფარულ ზრახვას გამოთქვამდა, რასაც მტრულ გარემოცვაში მოქცეული და მუდამ თვითგადარჩენაზე საზრუნავს მიცემული რეალურად ცოტას გაკეთებას თუ ახერხებდა. დიდსა და რიცხვრავალ ერებს, ამ მხრივ, სხვა განცდები, სხვა განზრახვებები ამოძრავებდათ, შესაბამისად, მათ ხელოვნებაში ის ინტონაციები თუ საფიქრალი, რაც რიცხვმცირე ერებს აქვთ, ნაკლებად ხშირობს. უფრო მეტიც, ამ უკანასკნელთ ხშირად გაგება-გათავისებაც კი უჭირთ, რაც მცირერიცხოვანი ხალხების მენტალობაში და ეროვნულ ცნობიერებაში არის ფესვადგმული. ისტორიისათვის, როგორც ცნობილია, ასე და ორასი წელი, მიუხედავად თავისი სიდიდისა, ფაქტობრივად, არაფერია. ქართველობას დიდხანს მოუწია სხვა ხალხის ქვემდგომობით, მათ შორის რუსულ სივრცეში, ყოფა-ცხოვრება. გავისხნით როგორი იყო მსახიობის, მსახიობ-მოცეკვავის ბედი იქ, იმ იმპერიაში. მისი ცხოვრება სრულიადაც არ იყო დალხენილი. მეფის იმპერიაში წესი იყო ასეთი - სამხედრო პირს, ოფიცერს თვით ყველაზე სახელმწიფო კაბილეში მსახიობი რომ შეერთო ცოლად, აუცილებლად უნდა მიეტოვებინა თავისი ძირითადი საქმიანობა, ანუ გამოსთხოვებოდა ოფიცრის კარიერას. ამის გარდა, საზოგადოებრივი თავმჯდომარის ადგილებში მამაკაცები, როდესაც კეთილშობილ ბანოვანებთან სეირნობდნენ, არც ერთ შემთხვევაში მსახიობ ქალს არ ესალმებოდნენ - ეს ცუდ ტონად ითვლებოდა. უფრო მეტიც, რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულში, კერძოდ, 32-ე სტატიის მე-10 პარაგრაფში საგანგებოდ იყო ჩანერილი, რომ, თუ ჩინოვნიკი (სახელმწიფო მოხელე) მსახიობობას განიზრახავს, იგი კარგავს ყველა იმ ჩინს, რომელიც მანამდე გააჩნდა. ამასთან, თუ კი დადგებოდა მომენტი და ჩინოვნიკი უკვე საპირისპიროს მოიმოქმედებდა, ანუ მიატოვებდა მსახიობობას და ადრინდელი მდგომარეობის დაბრუნებას მოისურვებდა, მას მსახიობად მუშაობის პერიოდი არც არაფრად ეთვლებოდა. დიდ იმპერიებს დიდი, თუმცა ხშირად უღირსი მიზნები ამოძრავებთ და მათ შეიძლება ჰქონდეთ კიდევ ისეთი ახირებების უფლება, როგორც უნდაც ზემოთ ვსაუბრობთ. ჩვენ-ნაირ პატარა, უფრო ზუსტად, რიცხვმცირე ხალხებს კი სხვა პრობლემები ჰქონდათ

და აქვთ, სამწუხაროდ, დღესაც. ჯერ კიდევ 1880 წელს, ქართული თეატრის ერთ-ერთი შემქმნელი აკ. ნერეთელი აღნიშნავდა: „... მხოლოდ ერთადერთი ასპარეზი დაგვრჩენია - თეატრი, საიდანაც შეგვიძლია გავიგონოთ ჩვენი დედა-ენა, ის ენა, რომელზედაც მუსიკობდა რუსთაველი, მბრძანებლობდნენ თამარები, რომელზედაც ჰქადაგებდნენ ნინოები, რომელზედაც სიმღებლით ღმერთს ადიდებდნენ ქეთევანები და მათი მსგავსები. ჩვენ ამ თეატრის წყალობით შეგვიძლია გავისხნეთ ჩვენი წარსული, დავინახოთ ანგულო და წარმოვიდგინოთ მომავალი. აი, რას ჰფიქრობს ქართული ტრუპა“ (გაზ. „დროება“, 1880, №208). სწორედ ამგვარი ეროვნული გადასახედიდან ამოსული ფიქრის შედეგი იყო 1882 წელს ქართულ თეატრში დ. ერისთავის (ვ. სარდუს პიესიდან გადმოქართული) „სამშობლოს“ დადგმა, რამაც საეტაპო როლის შესარულა ჩვენი კულტურის ისტორიაში. იმდროინდელი მომსწრენი ამ სახილველს თავიანთ მოგონებებში წერენ, თუ რა სულისკვეთება ტრიალებდა დარბაზში, როდესაც ლევან ხიმშიაშვილის როლის შემსრულებელი ლადო მესხიშვილი ამაყად მიუგებს შაჰს, რომ ვერ ჩადგება მის სამსახურში, რომ ძალიან კარგად იცნობს საკუთარ ხმალს, რომელიც უთუოდ ამჯობინებს მისსავე გულში გადატრიალდეს, ვიდრე თავის მტერს ემსახუროს... „მე და ჩემი ხმალი ქართველები გახლავართ, დიდებულ შაჰო!“ წარმოვიდგინოთ, როდის ხდება ეს ამბავი, რა დღეშია მაშინდელი ქართველობა და რა მდგომარეობაში იმყოფება „საძოვარზე ნახირივით მიშვებულ“ ეს უძველესი ერი, ალბათ ამიტომაც იყო, რომ როგორც ვ. გაბაშვილი იგონებს მესამე მოქმედებაში იმ სცენის ხილვისას, როდესაც მეტეხის დარბაზში საბრძოლველად გამზადებული გმირები დროშაზე ფიცს სდებენ სამშობლოსათვის თავის განირვაზე, მთელი საზოგადოება, პარტეტიდან მოკიდებული, ვიდრე გალიორკამდე, ფეხზე წამომდგარი მზად იყო მუხლის მოსადრეკად ეროვნული დროშის წინაშე, თუმცა ამას ვერ ახერხებდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ უკიდურესობამდე გადაჭედოდა თეატრში მხოლოდღა ფეხზე სადგომი ადგილი იყო შემორჩენილი. აღნიშნულ ფაქტში, ჩვენი აზრით, კარგად იკითხება ის ტენდენცია, რომელიც საზოგადოდ ხელოვნებისადმი და ხელოვნებით სათქმელისადმი რიცხვმცირე ერების დამოკიდებულებაში ვლინდება. იმპერიის მარნუხებში მოქცეული ხალხის წორედ ამ გზით ახერხებს თავისი მეობის შენარჩუნებას. მას მხატვრულ-სიმბოლური, ალეგორიული სათქმელის გზით შეუძლია საკუთარი ტკივილების დაამება და უკეთესი მერმისისაკენ სვლის იმედის შენარჩუნება. იგივე იმედს ასულდგმულებდა, უსათუოდ, ალექსი ალექსიძეს (სონღულაშვილს), როდესაც 1902 წელს თბილისში აზიური ცეკვების სტუდიას აარსებდა. ეჭვიც არ უნდა შეგვეპაროს, რომ ეს იყო შენიღბული გზა ქართული ცეკვის ხელოვნების გამოსაცოცხლებლად და მის ასაღორძინებლად.

ახლანდელი თაობის ადამიანები, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, მხოლოდ ფანტაზიის მოშველებით თუ წარმოიდგენს, რამდენი წვალეა, გარჯა, ღამის თევზა, ერთგვარი ტაქტიკური ემპაქობა იქნებოდა საჭირო საიმისოდ, რომ 1945 წელს მაშინდელი პოლიტიკისათვის ქართული ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის შექმნის ნებართვა გამოეცხუებინა. საბედნიეროდ, ეს მოახერხა სუნიშვილ-რამიშვილის დიდმა ტანდემმა, სევედენიერმა და სახელოვანმა ოჯახმა. მერე იყო ტრიუმფით მოვლილი მსოფლიო და როგორც იტყვიან, გზებიც



# 110 წლიანი მემორიალი

### 3 მკ.

გაიკვალა. არ უნდა დაგვავინყდეს ის ფაქტი, რომ XX საუკუნისათვის ჩვენი ქვეყნის მასშტაბით ბევრი სხვა სახელოვანი კოლექტივი მოღვაწეობდა და დღესაც მოღვაწეობს. ამ მხრივ, აღსანიშნავია ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი, სადაც ქორეოგრაფიული ხელოვნებას მსახურად ედგა სულითა და გულით დიდი ქართველი უდიდესი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება ბუხუტი დარასხველიძე. დღეს აქ ჩამოყალიბებულ ტრადიციებს სახელოვნად აგრძელებს ზემოაღნიშნული ანსამბლის სამართალმემკვიდრე „ერისიონი“.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, ათასგზის ანათემას გადაცემული კომუნისტური ქვეყნის ხელისუფლება, გარკვეული იდეოლოგიური მოსაზრებებით, ხელს უწყობდა ფოლკლორული კულტურის შესწავლისა და შემდგომი წინსვლის საქმეს. სწორედ ამგვარ მოსაზრებათა წყალობით უკვე 30-იანი წლებიდან ქვეყნის მასშტაბით იქმნება უამრავი ფოლკლორული კოლექტივი, ენცობა ოლიმპიადები, დათვალიერებები...

საბედნიეროდ, ამგვარი მუშაობის წყალობით შენარჩუნებული იქნა ტრადიციები, მასთან ერთად კი, გარკვეული სტრატეგიული ხედვა, რომ ცეკვა მართო თავის-შექცევა და გართობა-ლაღობა არ არის. ის ბევრად მეტია, მასში ერის სულიერი ენერჯის გამოხატვისა და თვითგადარჩენის ინსტიქტი ცოცხლობს. ალბათ, სწორედ ეს უკანასკნელი კარნახობს ადამიანებს სიფრთხილის განსაკუთრებულ გრძნობას. ჩვენი აზრით, სწორედ ამგვარი მოტივაცია ამოქმედებდა ანსამბლ „ერისიონის“ ხელმძღვანელობას, როდესაც მათ უკანასკნელ

წლებში უარი თქვეს არაერთ სარფიან ე. წ. ევრონიდადებზე და დღემდე მტკიცედ მიჰყვებიან „ეროვნული საგანძურის“ სადარაჯოდ მონიშნულ გზას.

ზუსტად ასეთივე ღრმა და მასშტაბური ეროვნული ნიშნულებიდან უყურებს ქართული ფოლკლორის განვითარების საკითხს ანსამბლ „რუსთავის“ ხელმძღვანელობაც.

ასევე სხვადასხვა რეგიონში მოღვაწე ანსამბლები, რომელთა კვლასაც მიჰყვებიან საბავშვო ქორეოგრაფიული კოლექტივები. მასშტაბები დიდი და როგორც ასეთ დროს ხდება, რაოდენობა ყოველთვის მთლად ადეკვატური არ არის ხარისხისა. ამას სხვა მიზეზებიც განაპირობებს, კერძოდ, XX საუკუნე, რომლის ბოლო ეტაპი გლობალიზმის ტენდენციებმა მოიცვა, თავისი შინაგანი განვითარების ლოგიკით შოუკულტურის საუკუნედ იქცა. ესაა მასობრივი, გემოვნებაგამოცლილი კულტურა, რომელმაც მოიცვა მთელი მსოფლიო და, მათ შორის, საქართველოც. სამწუხაროდ, ეს ტენდენციები შეიჭრა ქართული ქორეოგრაფიაშიც.

მასკულტურას თავისი პარამეტრები გააჩნია, რომლის შესახებ საუბარი ამჯერად აღარ მოხერხდება, თუმცა მისი ერთი თავისებურება, რომელიც ხელოვნებაში ქალისა და მამაკაცის ყალბად გაგებულ თანაბარფლებიანობაშია გამოხატული, ქართულ ცეკვაზე ნამდვილად ცუდად აისახა. სწორედ ამის გამოვლინებაა ე. წ. „ქალთა ხორუმი“, „ქალთა სვანური“ და მათი მსგავსი ცეკვები, რომელშიც ადამიანთა გარკვეული კატეგორია განვითარებას კი არ ხედავს, არამედ მას ტრადიციის პროფანაციად და აშკარა უკუსვლად მიიჩნევს.

ამ ბოლო დროს პოპულარობას იხვეჭენ ე. წ. „კავკასიური“ ტიპის ცეკვები, რომ-

ლებიც საოცრად ჰგავს ერთმანეთს და რომელთა „კავკასიურობა“ ჩქარ ტემპში შესრულებული ილეთების კორიანტილია ყოველგვარი აზრობრივი დატვირთვის, სიუჟეტური ხაზებისა და იდეების გარეშე. არც ის არის უყურადღებოდ დასატოვებელი, რომ ეს ცეკვები, არსებითად, „მთიულურების“ ტექნოლოგიურ მასალაზეა დაფუძნებული და ვერც კი გაივებს ვინ ვისგან სესხულობს და რას იღებს.

იგივე შეიძლება გვეთქვას „აფხაზური“ ცეკვების თაობაზე, რომელსაც ამ ბოლო დროს, ბევრი ქორეოგრაფი ეტანება, თუმცა აშკარაა, რომ ისინი აღნიშნული ცეკვების ტექნოლოგიურ მასალასა და შინაგან ნყოფას არ იცნობენ. ამიტომაც გამოსავლად კვლავ აჩქარებული ტემპი და ილეთთა კორიანტილი მიაჩნიათ, რითაც ეს ცეკვებიც „მთიულურების“ მსგავსი გახდა. გასაოცარია მაგრამ იგივე ტენდენციები ამ ბოლო დროს „რაჭულ“ ცეკვებშიც მეჭირა.

როდესაც აღნიშნულ საკითხებზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, ზემოჩამოთვლილ და სხვა მსგავს „ნოვაციათა“ შეფასებისას არავინ ამტკიცებს, რომ მათ უკან მდგომი ქორეოგრაფები, თითქმის, ვერ უშკლავდებიან საქმეს, ან კიდევ თვითონ მოცეკვავები მოიკოჭლებენ პროფესიული თვალსაზრისით და ა. შ. ამ მხრივ, როგორც იტყვიან, სადაო არაფერია. პრობლემა სხვაგანაა, კერძოდ სადაო თვითონ ქორეოგრაფთა განზრახულობა, მათი მიზანი და ამოცანები. კარგად ბრძანა თავის ერთ-ერთ ინტერვიუში ბატონმა ომარ მხეიძემ - დაარქვით ამ ყაიდის ცეკვებს რაც გინდათ, რაც გაგიხარებდათ, ოღონდ ნუ ეძახით მას ქართულ ცეკვას, რადგან ეს არ არისო ქართული თავისი არსითა და არსებით.

დასასრულ, კიდევ ერთ საკითხს უნდა შევეხეთ. სამწუხაროდ, ქართულ რეალო-

ბაში, თუნდაც ამ ბოლო ერთი საუკუნის მანძიზე, ვერ ჩამოყალიბდა ანალოგიურის აკითხების თეორიული განხილვის კულტურა. ვერც კი ვიხსენებ, იყო თუ არა ოდესმე მონვეული სამეცნიერო თავყრილობა, სადაც სპეციალისტები, მკვლევარები, პრაქტიკოსები თავის გულისნადებს ჩამოაყალიბებდნენ და ხედვებსაც შეაჯერებდნენ საჭირობოროტო საკითხების ირგვლივ.

დადგა დრო ამ პრობლემის მოგვარებაზე თუ არა, მისთვის საფუძველის ჩაყრაზე მაინც ვიფიქროთ. სწორედ ამგვარი იდეით, ამგვარი განზრახულობით ვსარგებლობთ ჩვენს დღევანდელ წერილში.

**საკითხები, რომლებსაც აქ შევეხეთ, მხოლოდ ნაწილია იმ პრობლემებისა, რომელთა შესახებ საუბარი საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებით კავშირის სხვა დანიტერესებულ უწყებებთან ერთად აქვს დაგეგმილი 110 წლიანი მთლიანობისადმი მიძღვნილ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე.**

**მასში მონაწილეობის მისაღებად ვინვეთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ქართული ქორეოგრაფიული კულტურა, მოღვაწეობს ამ სფეროში, ფიქრობს ან წერს მის შესახებ.**

**იმედოვნებ, გამოვეხმაურებით და თქვენს ნააზრევს მოგვანოდებთ კავშირის ოფისში - თბილისი, დავით აღმაშენებლის 180.**

**აღნიშნული მასალები გამოიცემა კრებულის სახით და ამით საფუძველი ჩაეყრება გარკვეულ ტრადიციას, რომელიც მომავალში ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორიის შექმნით დაგვირგვინდება.**

**ოლეგ ალავიძე**  
პროფესორი

## ქართული ცეკვის ისტორია

# სვანური ფერხული „ლილე“

ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში სვანურ საცეკვაო ფოლკლორს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ სვანეთმა თავისი ისტორიულ-გეოგრაფიული მდებარეობის მეოხებით შეძლო ხელუხლებელი სახით შემოენახა და ჩვენამდე მოეტანა ის უმდიდრესი მემკვიდრეობა, რომელიც ამ რეგიონში იქმნებოდა უხსოვარი დროიდან და რომლის მსგავსიც ბარის რაიონებში ხშირად იოლად იკარგებოდა ან ირყენებოდა. ეს ფაქტი, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სვანური ფოლკლორი მთლიანად, მათ შორის საცეკვაო ხელოვნებაც, ისტორიული ზრუნვა-შესწავლის ობიექტი უნდა იყოს და ეს პროცესი არ უნდა შენეულდეს.

მკვლევარ-ისტორიკოსებმა, ეთნოგრაფებმა და ფოლკლორისტებმა დღემდე ძალიან ბევრი საინტერესო ნაშრომი გამოაქვეყნეს სვანეთის ისტორიის, ენისა თუ კულტურის საკითხების ირგვლივ, თუმცა გასაკეთებელი ბევრად მეტი დარჩა. ამ მხრივ გამოწაკლისი, ბუნებრივია, ვერც ფოლკლორული მემკვიდრეობა იქნება. სვანურ სიმღერებსა და ცეკვებს, ასევე სიტყვიერ ფოლკლორს ჩვენში კარგად იცნობენ. სვანური ცეკვები თითქმის ყველა მეტ-ნაკლებად ცნობილი ქორეოგრაფიული ანსამბლის რეპერტუარში გვხვდება, თუმცა აღმოსაჩენი და გამოსამზეურებელი კვლავაც ბევრია.

სვანეთის ისტორიისა და კულტურის ცნობილი მკვლევარის, ისტორიკოს ა. ჩარკვიანის აზრით სვანეთში დაცული სასიმღერო და საცეკვაო მემოქმედება ოთხ ძირითად ჯგუფად იყო. პირველში შედის საქეფო სიმღერები და ცეკვები, მეორეში - საბრძოლო-სალაშქრო სიმღერები და ფერხულები, მესამეში საგალობლები, სალოცველი სიმღერა-გალობანი, მეოთხეს კი სამგლოვიარო ჰიმნები მიეკუთვნება.

სპეციალისტთა საერთო აზრით, ქართული მთიანეთისათვის დამახასიათებელი ტრადიციის მსგავსად, სვანურ ქორეოგრაფიაში გამოჩენილ ადგილზე დგას საფერხული ცეკვები. ფერხულში ერთად

დგომა ადამიანებს უმტკიცებდა რწმენას, რომ თემი განუყოფელია, ტრადიცია უღალატოა, ერთეულთა გმირობა ყველას გმირობაა, უფლისა და წინაპართა სახელის წინაშე ყველა თანაბრად პასუხისმგებელია და ა. შ.

სვანური ცეკვები, მათ შორის ფერხულეებიც, უმეტესწილად სიმღერის თანხლებით სრულდება. ასეთ სიტუაციაში სიმღერა ასრულებს აკომპანემენტის როლს, რომლის თვისი სიხშირე, არსებითად, ემთხვევა საცეკვაო მოძრაობების სათვალავსა და ტაქტების გრძობებს.



უნდა ითქვას ისიც, რომ საერთო აგებული მთიანობის მხარეები ქარგითა და მხატვრული ფორმით სვანური ფერხულები ახლოსაა ერთმანეთთან. ისინი, იშვიათი გამოწაკლისის გარდა, მამაკაცების მიერ სრულდება.

სვანურ რელიგიურ-რიტუალურ ტიპის საფერხული ცეკვებს შორის ერთ-ერთ გამოჩენილ ადგილზე დგას „ლილე“. იგი ყოველი ქართველის წარმოდგენაში ჩაიბეჭდა როგორც სადიდებელი, საგალობელი ჰიმნი, მიძღვნილი ზეციური ძალებისადმი,

მნათობებისა და იმ საკრალური უხილავი მოვლენებისადმი, რომლებიც განაგებენ ადამიანების ბედს, დღისა და ღამის, სინათლისა და სიბნელის, კეთილისა და ბოროტის ჭიდილს.

„ლილე“ თანაბარი ინტერესით შეისწავლება და განიხილება როგორც სიტყვიერი, ისე სასიმღერო და საცეკვაო ფოლკლორის სპეციალისტების მიერ. ამ მხრივ გარკვეული ტრადიციაც ჩამოყალიბდა. მუსიკათმცოდნეები, მაგალითად, მიიჩნევენ, რომ „ლილე“ არქაული საგალობელია და „უხუნავისი ღვთაებისადმი“ უდიდეს მონივნებას

დებულ ლექსადაა მიჩნეული. პროფ. თ. მიხუანცი „ლილეს“, „უმაღლესი ღვთაებისადმი“ მიძღვნილ ჰიმნად მიიჩნევს.

„ქართული ლექსის სათავეების“ მკვლევარი პროფ. გ. ჭელიძე მხარს უჭერს ქართული ლექსის არქაულ-ტიპებს შორის „ლილეს“ ჩაყენების იდეას და ფიქრობს, რომ მართალნი არიან ის მკვლევარები, ვინც „ლილეს“ შემოქმედელ ენლილთან - სივრცის ღვთაებასთან ანათესავენ. „...ლექსის მთელი ინვენტარი (ღვთაებებისადმი მიმართვის სტილი, უხუნავისი ძალის ხოტბა დიდება, ვედრების კილო, რფერენ-მისამღერებელი) ცხადყოფს „ლილეს“ წარმართულ-ღვთაებრივ არსს...“

„ლილეს“ კვლევაში გარკვეული სიახლე ჩანს ცნობილი მეცნიერის ალ. ჭინჭარაულის პოზიციაში, რომლის აზრითაც „ლილე“, ქრისტიანული „ალილიუსის“ სვანური ვარიანტი უნდა იყოს. იგი თვლის, რომ „... სვანური „ლილე“ არის საბერძნეთიდან საქართველოში შემოტანილი ქრისტიანობისათვის შემოყოლილი ებრაული წარმომავლობის სიტყვა. „ჰალელუია“ (აქედმე ღმერთსა). ეს მისამღერი ქართულშიაც დამკვიდრდა, რისი ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ისიც არის, რომ ბევრობრივად იგი არღვევს ქართულ მისამღერთა მიღებული სტრუქტურის ნორმებს, არსებითი კი ის არის, რომ იგი უკავშირდება ქრისტეს (შობა) და მთავარანგელოზს“.

ჩვენ, ამჯერად, ბუნებრივია, არ ვაპირებთ ქართული პოეტური ფოლკლორის მკვლევართა დავა-კამათში მონაწილეობას. ჩვენი მიზანი ამ შემთხვევაში იმის აღნიშვნაა, რომ ფერხული „ლილე“ მართლაც რომ უაღრესად რთული და საინტერესო ფენომენია ქართულ ქორეოგრაფიულ კულტურაში. მისი წარმოშობა და სრული მხატვრული ფორმა-შინაარსი დღემდე ბოლომდე სათანადოდ გააზრებული არ არის, თუმცა ქართულ სცენაზე იგი არა ერთხელ გამოუტანიათ და, რაც განსაკუთრებით საინტერესოა, „ლილე“ დღემდე ცოცხლად



# ქორეოგრაფიული ანსამბლი „მრავალკალი“



სამხატვრო ხელმძღვანელი და ქორეოგრაფი  
გიორგი გიბელიძე

დაიბადა თბილისში, 1968 წლის 10 ოქტომბერს. გორას მეულე დიანა სუბიტაშვილია, ჰყავთ ორი შვილი – თეონა და ნოდარი. თეონა ომარ მხეიძის სახელობის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „მრავალკალის“ მოცეკვავეა.

გორა 6 წლის იყო, როცა მამამ ცეკვის შესასწავლად ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის ცენტრში (არტოს ბაღში) მიიყვანა. იქ მისი პირველი პედაგოგები იყვნენ დავით ჩხეიძე და ოთარ კალანდაძე. შემდეგ ცეკვადა რკინიგზელთა კულტურის ცენტრში, ანსამბლ „შევარდენში“ ოთარ ნასყიდაშვილთან.

გარკვეული პერიოდი ცეკვადა ილიკო სუხიშვილის სახელობის სახელმწიფო სკოლა-სტუდიაში, ქორეოგრაფ ანზორ ნავროზაშვილთან. იყო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სახალხო არტისტი ბესიკ სვანიძე. ასევე, იყო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „გულაურის“ მოცეკვავე. სცენაზე წარმატებით ცეკვადა 21 წლის განმავლობაში.

2000 წელს თბილისის მე-3 გიმნაზიაში, ახლანდელ 32-ე საჯარო სკოლაში, შექმნა ქორეოგრაფიული სტუდია, ხოლო 2003 წელს ჩამოაყალიბა ანსამბლი „მრავალკალი“, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი და ქორეოგრაფიც თვითონვეა.

ანსამბლს 2011 წლის 11 ივნისს, ქორეოგრაფიის დღეს, მიენიჭა გამორჩენილი ქართველი მოცეკვავის, ომარ მხეიძის სახელი. ანსამბლი ხშირად გამოდის საქარ-

თველოსა თუ საზღვარგარეთ გამართულ სხვადასხვა ფესტივალებზე. 2008-2009 წლებში წარმატებით მონაწილეობდა თურქეთის ქ. ალანიაში გამართულ საერთაშორისო ფესტივალში, სადაც ლაურეატის ნოდებს დაეუფლა. სტუდია და ანსამბლ „მრავალკალის“ მონაგარი ასეთია: კლასიკური, საესტრადო, ქორეოგრაფიული, დრამატული და ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური ფესტივალის „ჯადოსნუ-

რი ხმების“ ლაურეატი; 2005 წელს ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის სახელობის ნაციონალური აკადემიური ბალეტის - „სუხიშვილების“ 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ხალხური ცეკვის ფესტივალის ლაურეატი; სხვადასხვა წლებში მიღებული აქვს სიგელები, დიპლომები, საპატიო სიგელები, ლაურეატობის დიპლომები.

2010 წელს სტუდია „მრავალკალს“ 10 წელი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღი 23 მაისს პროფკავშირების კულტურის ცენტრში სოლო კონცერტით აღინიშნა. მაყურებელმა იხილა 13 ცეკვა. დარბაზი დიდხანს უკრავდა ტაშს პატარა მოცეკვავეებს.

„მრავალკალზე“ გადაღებულია 18 წუთიანი დოკუმენტური ფილმი.

2011 წელს ანსამბლი გახდა საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის კოლექტიური წევრი და მას შემდეგ მონაწილეობს ქართული ცეკვის სახლის დაფუძნების მიზნით გამართულ საქველმოქმედო ღონისძიებებში. აქაც თავი გამოიჩინეს პატარებმა და მადლიერების სიგელები დაიმსახურეს. მანამდე კი ანსამბლი ხშირად გამოდიოდა ვეტერან ქორეოგრაფთა საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის ღონისძიებებში.

„მრავალკალი“ თებერვალში მონაწილეობას მიიღებს ბაკურიანში გამართულ ტრადიციულ კონკურს-ფესტივალში „ოქროს ცერი“. შემდეგ... ანსამბლის ხელმძღვანელი არ ამხელს სამომავლო გეგმებს, დრო მოვა და ნახავთ, რაც იქნება.

ანსამბლში 44 ბავშვია. ეს უკვე მე-4 თაობაა. აქ დაფრთიანებული გოგო-ბიჭები დღეს ცნობილ და სახელგანთქმულ ანსამბლებში ცეკვავენ, სწავლობენ თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, ს. ზაქარაიძის სახელობის სასწავლებელში... აი, ისინიც: მაგდა კუპატაძე, ნატალი ესიაშვილი, ბექა ხელაშვილი, ალექსანდრე ხაჩიძე.

ანსამბლში გამოირჩევიან სოლისტები: რუსუდან ქვრივიშვილი, ნოდარ მოსიაშვილი, ვაგა შანიძე, თეონა გრძელიშვილი, დარი ბაბუნაშვილი, გიორგი მამალაძე, ვაჟა და ანა მესხები, ციაკო გუგუშაშვილი, მარიამ მეტრეველი, მარიამ ქურციკიძე, თორნიკე მუსხერიძე, მარიამ გოგოლაძე, მაქსო და დიმა ბერულავები, ნიკოლოზ გოსტამაშვილი, ნიკა მეგრელიშვილი.

გორა გრძელიშვილს ასისტენტობას უწევს შვილი, საუკეთესო მოცეკვავე თეონა გრძელიშვილი.



## სიზჷვა ანსამბლ „მრავალკალის“ იუბილეა

ანსამბლი „მრავალკალი“ 10 წლისაა! ვულოცავთ ამ საიუბილეო თარიღს ანსამბლის მოცეკვავე გოგონებსა და ვაჟებს, სკოლას, ანსამბლის მოცეკვავეთა მშობლებს და ანსამბლის ხელმძღვანელს გორა გრძელიშვილს. ვუსურვებთ შემოქმედებით წარმატებებს, დღეგრძელობას! ანსამბლი „მრავალკალი“ ჩვენი ყველა ღონისძიების აქტიური და მუდმივი მონაწილეა. 2003 წლიდან მოყოლებული, ანსამბლმა მრავალჯერ გაიმარჯვა სხვადასხვა კონკურს-ფესტივალში. „მრავალკალი“ გამორჩეული და წარმატებული კოლექტივია.

ბატონი გორა გრძელიშვილი დაკვირვებული, სერიოზული ქორეოგრაფ-პედაგოგია. მისი აღსაზრდელები გამოირჩევიან კარგი სამემსრულებლო დონით, ემოციურობით, რაც განაპირობებს ანსამბლის წარმატებებს. პატარა ოსტატებს თავიანთი შემოქმედება არაერთხელ უჩვენებიათ როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე. გულითადად მივესალმებით ანსამბლის თითოეულ წევრს და მის ხელმძღვანელს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, წინსვლას და გამარჯვებებს.

### იური ტორაძე,

საქართველოს ვეტერან ქორეოგრაფთა საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის პრეზიდენტი,  
ჯემალ ესიპაძე,  
ფონდის ვიცე-პრეზიდენტი,  
ბელა ჭანიშვილი,  
ფონდის მთავარი კონსულტანტი





წარმოგიდგინო

# ქორეოგრაფიული ანსამბლი „მრავალქალი“



ომარ მხვიძე,  
გიორგი გრძელიშვილი

### ომარ მხვიძეს

ეზურმცლეზე ელვას ბეწვი,  
ხარ არგვეთელ ძმათა მოდგმა.  
გულში გჭირს და გულში გეწვის  
დედო ზარის ხმა და მოთქმა.  
გულში გჭირს და გულში გტკივა  
ჯაფარიანი ვაჟის განცდა,  
კაცი მთასთან როცა მივა,  
მთაც მივაო მაშინ კაცთან.  
სისხლში მზე და ვაზის სული,  
არაგვის და თერგის ხმა ხარ,  
მალლა ცამდე აზიდული  
მთარული თეთრი მთა ხარ!  
ვერ აავსო ქარმა ბუქით  
გზები შენგან დანალახი,  
თავზე გადავას მთვარის შუქი,  
ნისლი - შენი ყაბალახი.  
ზეცა სავსე სადაფითა,  
მზე - ართვინით ამომსვლელი,  
ღამე - შავი ნაბადი და  
ჩოხა - სულის სამოსელი.  
მოუმართავს სიმი ებანს,  
ცისარტყელას ფრთებქვეშ ვიშვით,  
ციცკენ იწვევს, ცერზე დგება  
ქედუხრელი ჩემი ჯიში!  
ვეცხოვრობთ: არა დამიწვდით და,  
ზეცის გახსნას კელავაც ველით,  
მოხველ ფარვით კრწანისიდან,  
როგორც ბოლო არაგველი.  
ხმაში რეალი, თმაში ვერცხლი,  
სულსაც უამს, უამს ხელი...  
ფეხის თითებს გასდით ცეცხლი,  
მიწას უვლის ჟრუანტელი.  
ეზურმცლეზე ელვას ბეწვი,  
ხარ არგვეთელ ძმათა მოდგმა.  
გულში გჭირს და გულში გეწვის  
დედო ზარის ხმა და მოთქმა.

კრეკლე საღლიანი



იური ტორაძე, გიორგი გრძელიშვილი,  
დავით სულუკიძე.



ცნობილ ქორეოგრაფებთან



პრიზები

### მრავალქალი

არის ამქვეყნად ნამდვილი  
სულის და გულის „ლალი“,  
ეს არის კარგი ქართული  
ანსამბლი „მრავალქალი“.

ტრადიციებზე იზრდება  
აქ უამრავი ბავშვი,  
და აქ მიღებულ კულტურას  
ვერვინ ვერასდროს წაშლის.

ქართველებს ნილად უფლისგან  
გვერგო ძალა და მაღლი,  
ღმერთო, დალოცე, აკურთხე,  
ანსამბლი „მრავალქალი“!

დალი ნიკოლაიშვილი



ანსამბლს 2011 წლის 11 ივნისს, ქოხეოგრაფიის დღეს, მიენიჭა  
გამორჩენილი ქართული მოცეკვავის, ომარ მხვიძის სახელი.



# ქორეოგრაფიული ანსამბლი „კოლხი“



ქართულ ცეკვას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. რომ იტყვიან, უამის დასაბამიდან დაწყებული ქართლოსიანთა ხელოვნება... ცეკვის დიდოსტატებმა მთელ მსოფლიოს უჩვენეს და დაუმტკიცეს ქართველი ერის ვაჟკაცური ქედუხრელობა, ქართველ ქალთა კდემამოსილება და არამინიერი სილამაზე.

დღეს, ბავშვთა უამრავ ქორეოგრაფიულ ანსამბლს შორის ერთ-ერთი გამორჩეულია „კოლხი“. თავის სათქმელს პატარა გოგო-ბიჭები ჯადოსნური ქართული ცეკვის მშვენიერებით გამოხატავენ.

თბილისის 99-ე საჯარო სკოლასთან არსებული ანსამბლი „კოლხი“ შეიქმნა 1996 წელს ქორეოგრაფ ზაზა ესიავას ხელმძღვანელობით. დაარსებიდან დღემდე ანსამბლი აქტიურად და წარმატებით მონაწილეობს თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში გამართულ ფესტივალ-კონკურსებსა და შემოქმედებით კონცერტებში. მიუხედავად მცირეწლოვანი ბიოგრაფიისა, ანსამბლს ჩატარებული აქვს 70-ე მეტი კონცერტი. მხოლოდ რამდენიმეზე გავამახვილებთ

მკითხველის ყურადღებას: 1998 წელს თბილისში გამართულ ბავშვთა ქართული ხალხური ცეკვების მე-2 ფესტივალზე ანსამბლმა მოიპოვა ლაურეატის ნოდება, ამავე წელს „კოლხი“ მონაწილეობს მუსიკალურ ფესტივალში „ოქროს მარტვი“ და ჯილდოვდება ლაურეატის ნოდებითა და სამახსოვრო პრიზებით. 2000 წელს გამართულ ხალხური შემოქმედების მე-3 რესპუბლიკურ ფესტივალ-კონკურსზე „ჩემი ლამაზი ქვეყანა“ ფიური „კოლხს“ აჯილდოვებს მეორე ხარისხის

დიპლომით ნომინაციაში „საუკეთესო არტისტიზმისათვის“.

2004-2005 წელს ფესტივალ „ოქროს ცერში“ მონაწილეობისათვის ანსამბლი დაჯილდოვდა პირველი ხარისხის დიპლომითა და ოქროს მედლებით.

2007 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ესთეტიკური ცენტრი ანსამბლ „კოლხს“ აჯილდოვებს პირველი ხარისხის დიპლომით და ანიჭებს ლაურეატის ნოდებას.

2008 წელს ანსამბლმა ქობულეთში გამართული საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალ-კონკურსის ნომინაციაში „საუკეთესო საშემსრულებლო სტილი“ მეორე ადგილი დაიმსახურა.

ანსამბლმა სხვადასხვა წლებში იმოგზაურა თურქეთის რესპუბლიკაში, პოლონეთსა და საბერძნეთში, ბულგარეთის დედაქალაქში, სადაც მრავალი პრიზი და გრან-პრი მოიპოვა. ანსამბლს მინიჭებული აქვს მრავალი საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატის ნოდება.

„კოლხში“ გაერთიანებულია 50 ბავშვი. ანსამბლის რეპერტუარშია ქართუ-

ლი ხალხური სიმღერები და ცეკვები: „მთიელ ქალ-ვაჟთა შეჯიბრი“, „სვანური“, „მუხამბაზი“, „აფხაზური“, „ყაზბეგური“, „თუშური“, „რაჭული ოღრო-ჩოღრო“, „მთიელ ქალთა ცეკვა“, „ხევსურული“, „ფარიკაობა“, „ლელო“, „განდაგანი“, „ნარნარი“, „ჯეირანი“, „სამაია“, „ძველი თბილისის სურათები“, და ა. შ.

ანსამბლ „კოლხის“ რეპეტიტორია ნანა ქამხაძე, მუსიკალური გამფორმებლები არიან: შოთა სამუშია, ნუკრი ჯანიაშვილი, მირზა ვარდანიძე, გია გურგენიშვილი, და იური ნერსესოვი.

ქართულ ხალხურ ცეკვებზე უზომოდ შეყვარებული „კოლხის“ წევრები დიდი მონდომებითა და რუფუნებით ეუფლებიან ქართული ცეკვის ყველა საიდუმლოს, ხევენ სამემსრულებლო დონეს და ოსტატობას, თავიანთი მოკრძალებული წვლილი შეაქვთ ქართული კულტურის, ქართული ქორეოგრაფიის განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში.

წარმატება ვუსურვოთ „კოლხის“ თითოეულ წევრს, მის ხელმძღვანელებს!

## ზაზა ესიავა: ცეკვა ჩემი ცხოვრება

ჩვენს ეროვნულ საგანძურს, ქართულ ხალხურ ცეკვას და სიმღერას განსაკუთრებული დაცვა და გაფრთხილება სჭირდება.

ქართული ხალხური ცეკვები ჩვენი ქვეყნის ისტორიაა, ქართველი ერის მორალური კოდექსია, რომელშიც საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ყოფა-ცხოვრება და ადათნებები დაცულია.

ქართული ცეკვების ძირითადი მოტივებია: რაინდობა, მეგობრობა, ამალღებული სიყვარული, ქალის კდემამოსილება და მისდამი პატივისცემა.

ქართული ხალხური ცეკვები მსოფლიო ხელოვნების საოცრებაა, რომელიც შეუპოვარ შრომასა და სიყვარულს მოითხოვს. მისი შესრულება მხოლოდ ქვეყნის ნიჭისა და თავდაუზოგავი შრომის შედეგად შეიძლება.

ცეკვა ჩემი ცხოვრებაა და ახდენილი ოცნება, რომელიც დადებითი ენერგიით მავსებს და უდიდეს ძალას მმატებს.

თბილისის კულტურის სახელმწიფო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გადაწყვიტე ანსამბლის ჩამოყალიბება. მიზნის მისაღწევად არავითარ სიძნელეს არ გავუბრბოდი, ყველა გზა მოესინჯე და ჩემსას მაინც მივადნიე. ჩემი ანსამბლი „კოლხი“ 15 წლისაა. ამ ხნის განმავლობაში ბევრის რამ შეიცვალა, ანსამბლში რამდენჯერმე მოხდა თაობათა ცვლა, არ შეცვლილა მხოლოდ უინი იმისა, რომ „კოლხი“ გამხდარიყო ერთ-ერთი საუკეთესო ანსამბლთაგანი. ვამაყობ იმით, რომ გვაქვს საკმაოდ ვრცელი რეპერტუარი, დღითიდღე იხვევება ანსამბლის წევრთა ოსტატობა, წარმატებით გამოვდივართ სხვადასხვა რანგის კონკურსებსა და ფესტივალებში. ანსამბლს სახელი „კოლხი“ მე დავარქვი და დიდი სურვილი მაქვს, კოლხური სულისკვეთებით აღიზარდონ ჩვენი პატარები. ვცდილობ, სცენაზე, ასე თუ ისე, სრულად გადმოვიტანო კოლხური თემბატკა, რომელიც საქართველოს ამ ულამაზესი კუთხისათვის დამახასიათებელი მოტივებით იქნება გაჯერებული.

15 წელი ანსამბლისათვის დიდი დრო არ არის, „კოლხს“ ჯერ კიდევ ყველაფერი ნინ აქვს, გასაკეთებელი ბევრი გვაქვს. შევეცდებით, ანსამბლმა ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს ქართულ ქორეოგრაფიაში.



ნანა ქამხაძე: ცეკვა ცხოვრების მამოძიხვებელი ძიხვია

ხელოვნების ნებისმიერი დარგი შრომის-მოყვარეობას, ულევ ენერგიას, საქმისადმი თავდადებას და უსაზღვრო სიყვარულს მოითხოვს. სწორედ ასეთი დამოკიდებულება მაქვს ჩემი პროფესიის მიმართ. ცეკვა ჩემთვის ყველაფერია. ცეკვა ჩემი ცხოვრების მამოძიხვებელი ძარღვია, ცეკვა თავად მართავს ცხოვრებას.

ქართული ქორეოგრაფია ძალიან დიდ შრომას მოითხოვს თითოეული ქორეოგრაფისაგან. მათ ხელში თაობები იზრდებიან და ყალიბდებიან. ქორეოგრაფები სწორედ ისე რომ ვაღდებულენი არიან, არ დაუშვან მცირედი შეცდომაც კი. აღზრდა ეს დიდი ხელოვნებაა. ასევე დიდი ხელოვნებაა ქართული ცეკვა. ჩემი დიდი სურვილია, მომავალი თაობა აღიზარდოს ქართული ცეკვის, ქართული ტრადიციების ღირსეულ გამგრძელებლებად.

ცეკვის დადგმა სიფრთხილესა და ყურადღებას მოითხოვს, რათა დაცული იყოს ყველა აუცილებელი ნიუანსი. ასევე აუცილებელია, ამ ყველაფრის უზადოდ მიტანა ბავშვამდე. აღსაზრდელებს უნდა გავაცნოთ თითოეული ცეკვის შინაარსი, ადათ-ნებები, ჩაცმულობა, ხასიათი, ქალგაჟის ურთიერთდამოკიდებულება, ცეკვის შესრულების მანერა და მუსიკა, რათა ემოციები სწორად გამოხატონ და გადმოსცენ ცეკვისას და ასევე აგრძნობინონ იგი მაყურებელს.

ცეკვის შესწავლისას აუცილებელია დისციპლინა, ურთიერთგაგება და პატივისცემა პედაგოგსა და შეგირდებს შორის. მთელი ჩემი შემოქმედებითი ცხოვრება ამ პრინციპით გავიარე და სიყვარულით აღვზარდე მრავალი თაობა, ასევე გავაგრძელებ მომავალშიც, ვიდრე ვემსახურები ქართულ ქორეოგრაფიას.



**აღლოგა**

საქართველოს ქოხოგჩაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი ჯავშიი მადლობას უხდის ბავშვთა ქოხოგჩაფიულ ანსამბლ „კოლხის“ ხელმძღვანელს, ბაკონ ზაზა ესიავას ჯავშიის მიუი გამაჩთუი საქვედმოქმედო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის. ჯავშიის ხელმძღვანელობა გამოთქვამს იმედს, რომ მომავალში ჯიდეუ უფიო მჭიფიო და ეფუქსიი იქნება ეს უთიუიხობა და თანამშრომლობა.



ნარკომიდანთი

# ქორეოგრაფიული ანსამბლი „კოლხი“



### წერილები „კოლხის“ ხელმძღვანელს

ბატონო ზაზა, ჩემი შვილი, ლევან ამირიძე, თქვენი დახმარებით ჯერ კიდევ სულ პატარა, სამი წლის ასაკში ეზიარა ქართული ცეკვის ანბანს და მას შემდეგ ისევ და ისევ თქვენი დახმარებით ეუფლება და უფრო შეუყვარდა ქართული ხელოვნების ეს მსოფლიო საოცრება. ერთხელ ისიც კი თქვა: დიდი რომ გავიზრდები, სახელად ზაზა დავირქმევ და ცეკვის მასწავლებელი ვიქნები.

დიდი მადლობა, ბატონო ზაზა, ჩვენი შვილების ჭეშმარიტ ქართველ ვაჟკაცებად და ქართველ ქალიშვილებად აღზრდისათვის. უფალი გფარავდეთ.



ამირან ამირიძე

პირველ რიგში მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ბატონ ზაზა ესიავას, რომელმაც შეძლო, ჩემი შვილისათვის შეეყვარებინა ცეკვა, რომელიც დღეს უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მის ცხოვრებაში. ამ ხუთი წლის მანძილზე ის უდიდესი სიხარულით მოდის ანსამბლში. ცეკვაზე სიარული რატის დიდ ბედნიერებას ანიჭებს. მან ანსამბლ „კოლხში“ ბევრი მეგობარი შეიძინა. სცენაზე ყოველი გამოსვლა მისთვის ნამდვილი დღესასწაულია. ცეკვამ მას გაუჩინა პასუხისმგებლობის გრძნობა და სურვილი იმისა, რომ ბოლომდე გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები. მოხარული ვარ, რომ ჩემი შვილი იმ დიდი ოჯახის წევრია, რომელსაც ანსამბლი „კოლხი“ ჰქვია. ბატონო ზაზა, გისურვებთ უამრავ წარმატებას, რომლებსაც, დარწმუნებული ვარ, აუცილებლად მიაღწევთ.

ვერიკო მგალობლიშვილი

ქართულმა ხალხურმა ცეკვამ განვითარების ვრცელი და რთული გზა განვლო. დღეს ამ გზას აგრძელებენ ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლები. მათ შორის გამორჩეულია ანსამბლი „კოლხი“, რომლის ახალგაზრდა ხელმძღვანელი ზაზა ესიავა, საკუთარ ძალეში დარწმუნებული, ბავშვებსაც უნერგავს და ასწავლის ქართული ცეკვის სიყვარულს, გადასცემს იმ ძალასა და ენერჯის, რაც ასე უხვად ახლავს ქართულ ცეკვებს. დააკვირდით, რამდენად მოხდენილი, თავშეკავებული, ვაჟკაცური და ამაყია ეროვნულ სამოსელში გამონწყობილი ქალ-ვაჟების ყოველი მოძრაობა. ქორეოგრაფი ზაზა ესიავაც ტრადიციების მიმდევარი ქართველია და ჩვენს ბავშვებს ცეკვის გარდა ასწავლის წინაპართაგან შემორჩენილ დიდებულ ადათ-წესებს, სამშობლოს უსაზღვროდ სიყვარულს, ერთგულებასა და მამულისცილობას. არ შეიძლება, უყურო, როგორ ცეკვავენ კოლხელები „აფხაზურს“ და არ აღფრთოვანდე. მოგეხსენებათ, ცხოვრება მოულოდნელობებითაა აღსავსე და ბატონ ზაზა ესიავასაც იმედი აქვს, რომ ოდესმე ანსამბლი „კოლხი“ აფხაზეთის მინაზეც იცეკვებს. გამარჯვება და იმედი ნუ მოგიშალის ღმერთმა.

ცირა მერაბიშვილი





ქართული ცეკვის ისტორია

მსოფლიო ხალხთა ცეკვები

# სვანური ფერხული „ლილე“

◀ 4 33.

სრულდება ენგურისა და ცხენისწყლის ხეობის სოფლებში.

1890-1917 წლებში სხვადასხვა ქართველ მკვლევართა მიერ „ლილე“ ათზე მეტი ვარიანტი იქნა მიკვლეული და ჩანერილი. მუსიკალურ ქორეოგრაფიულ ვარიანტებში ყოველი მუხლის (ანუ სალექსო სტრიქონის) თავსა და ბოლოში რეფრენის სახით ისმის „ოი ლილე“ ან კიდევ „შიდა ლილეო“, რასაც მოსდევს საკუთრივ ტექსტი. ამ უკანასკნელის ვარიანტებიდან ცეკვის დროს ზემო სვანეთში უმეტესწილად შემდეგი გამოიყენება:

„შიდა ლილეო დიდება შენდა რიღვა-ია შაიდა (მეორე ვარიანტი - შაიდა) შაიდა ლილე;

შიდა ლილეო, ოქროს სამკაულს რიღვა-ია შაიდა, შაიდა ლილე;

შიდა ლილეო, დიდება დიდ ღმერთსა, შაიდა ლილე;

შიდა ლილეო, ხარები გყავდათ შესანი-რავი, შაიდა ლილე.

შიდა ლილეო, რქები ჰქონდათ კარგი მოყვანილი, შაიდა ლილე;

შიდა ლილეო, კუდეები ჰქონდათ კარგი მოყვანილი, შაიდა ლილე;

შიდა ლილეო, ყოჩები გყავდათ შესანი-რავი, შაიდა ლილე;

შიდა ლილეო, რქები ჰქონდათ დაგრე-ხილი, შაიდა ლილე;

შიდა ლილეო, კუდეები ჰქონდათ აპრე-ხილი, შაიდა ლილე;

შიდა ლილეო, ყელზე ჰქონდათ აპრეხი-ლი, შაიდა ლილე;

შიდა ლილეო, ყელზე ეკიდათ ზარები, შაიდა ლილე“.

სწორედ ამ სიმღერის გუნდური წარმოთქმისას, რომელსაც ხან ერთი გუნდი მღერის, ხან კიდევ მეორე, მეფერხულენი შესატყვის სვლებსა და მოძრაობებს ასრუ-ლებენ. მას კი გარკვეული თანმიმდევრობა აქვს.

ხალხში შემორჩენილი „ლილე“ საფერ-ხული ვარიანტები დიდად არ განსხვავ-დება ერთმანეთისაგან და გარკვეულ ქო-რეოგრაფიულ ნახაზს ემორჩილება. მისი საფუძველია წრე, წრიული მოძრაობები, სიმღერის თანხლებით 6/8 მუსიკალური ზომის ფარგლებში.

სხვა სვანური ფერხულების მსგავსად, აქაც მოცეკვავეთა გუნდი წინასწარ ენ-ყობა წრეზე. მონაწილეთა შორის ხშირად არიან ქალებიც. ასეთ დროს მონაწილენი ხელი-ხელ ჩაკიდებულნი დგანან, ხოლო თუ მონაწილენი მხოლოდ მამაკაცებია, ისინი ერთმანეთს ზურგს უკან ქამარში ავ-ლებენ ხელს.

გუნდის ერთი ნაწილი იწყებს სიმღერას. პირველივე ტაქტის ბოლოს მეფერხულე-ნი მარცხენა ფეხით ასრულებენ წინგაქ-ნევას. ერთდროულად იგივე ფეხი მცირე ერგბუქს აკეთებს, ხოლო მარჯვენა ფე-ხის ქუსლი იატაკზე დაკვრას აკეთებს და მარცხენა ფეხით საფერხულო ჩაკრულო სრულდება. ამრიგად შესრულდა ფერხულ-ში შესასვლელი ნაწილი, როგორც ტაქტის გარეშე „და“ რაც, თავის მხრივ, ფერხულის საცეკვაო ფრაზის დასრულებასაც ნიშ-ნავს.

მეორე ტაქტის განმავლობაში მარცხენა ფეხი გადადის სრულ ტერფზე (მარცხნივ), ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ფეხი კი ერგცერით ეხება იატაკს, ამას მოსდევს

მარჯვენა ფეხის სრულ ტერფზე, ხოლო მარცხენა ფეხის ერგცერის მდგომარეობა-ში გადასვლა.

მესამე ტაქტის დროს მარცხენა ფეხით მარჯვენას წინ ჯდომა კეთდება. ამ დროს მარცხენა ფეხი იღებს სხეულის მთელ სიმ-ძიმეს, მარჯვენა ფეხი ნელ-ნელა მოიხსნე-ბა, ზეაინევა და გადადის მარჯვნივ, ხოლო მარცხენა ფეხის ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს.

ამავე ტაქტის მომდევნო მერვედას და ბოლო მეოთხედზე მარჯვენა ფეხი სა-ფერხულო ჩაკვრას ასრულებს, იგი ოდნავ მარცხნივ იხრება, მარცხენა ფეხის ქუსლი დაკვრით ეხება იატაკს და იგი ოდნავ იხ-რება მუხლის სახსარში.

ინწყება მეოთხე ტაქტი, რომლის პირველ ნახევარშიც მარჯვენა ფეხი სრული ტერ-ფით იდგმება მარჯვნივ. ამ დროს ზეტანი ოდნავ მარჯვნივ შებრუნდება, ხოლო ად-გილზე დარჩენილი მარცხენა ფეხი თავი-სუფალი ერგცერით ეხება იატაკს.

ტაქტის დანარჩენ ნაწილში მარცხენა ფეხი კი ოდნავ შორდება იატაკს.

მეხუთე ტაქტის ნახევარში მარჯვენა ფეხით გადაიდგმება ერთი ნაბიჯი, მარც-ხენა ფეხი კი თავისუფალ ერგცერზე დგე-ბა.

ტაქტის დანარჩენ ნაწილში მარჯვენა ფეხით მცირე ნახტომი კეთდება, ამავდ-როულად ქუსლი იატაკზე დაკვრავთ, მარ-ცხენა ფეხი კი შორდება იატაკს, იხრება მუხლის სახსარში და წინ წაინევის. ამ დროს ტერფი იჭიმება. ეს „სადა მუხლურა“ წინს-ვლია.

მექვსე ტაქტის პირველსავე მეოთხედ-ზე მარცხენა ფეხი მარჯვენას წინ ჯდომას აკეთებს. მარჯვენა ფეხი სახსარში იხრება, იატაკს შორდება და მარჯვნივ გადაინაც-ვლებს. ამ დროს კი მარცხენა ფეხის ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს.

ტაქტის დანარჩენ ნაწილში მარჯვენა ფეხი ასრულებს საფერხულო ჩაკვრას, რომლის დროსაც მარცხენა ქუსლს იატაკს დაკვრავთ, ხოლო ფეხი სახსარში მოიხრე-ბა.

მეშვიდე ტაქტის პირველ ნახევარში მარ-ჯვენა ფეხი გადადის უფრო სრულ ტერფ-ზე კიდევ უფრო მარჯვნივ. ამავდროულად იატაკს შორდება მარჯვენა ფეხის ქუს-ლიც.

ტაქტის მეორე ნაწილში მარცხენა ფეხი ასრულებს საფერხულო ჩაკვრას, მარჯვე-ნა ფეხის ქუსლს იატაკზე დაკვრით, ფეხის სახსარში მოხვრით.

ყოველივე ამის შემდეგ საცეკვაო ფრაზა იწყება თავიდან, იგი მეორდება იმდენჯერ, რამდენჯერაც ამას მეფერხულენი ისურ-ვებენ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ აღარ არის პირველ ტაქტში ნაგულისხმევი ყოვნი.

„ლილე“ საფერხულო ნეობაზე, მის ძი-რითად ფორმასა და შემადგენელ დეტა-ლებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ეს არის რთული, კომპლექსური შინაარსის მქონე სარიტუალო ფოლკლორული ხელოვნე-ბის ნიმუში, რომელიც მთელი სისავსით წარმოაჩენს სვანეთის მთიანეთისათვის დამახასიათებელი აზროვნების სიღრმეს, ხალხის სიღარბისელებს, რწმენის გაუტე-ხელობას, ტრადიციისადმი ერთგულებით გამოჩენილი ხალხის ფიქრსა და აზროვ-ნების წესს.

რეზო ჭანიშვილი  
პროფესორი

# უზბეკური ცეკვა

უზბეკეთის ქორეოგრაფიულ ხელოვნე-ბაში ჩამოყალიბდა და ვითარდება თვით-მყოფადი საცეკვაო სკოლები, რომლებიც ძირითადად განსხვავდებიან ერთმანეთის-გან. ეს არის ფერგანული, ბუხარული და ხორეზმული ცეკვები.

ფერგანული ქალთა ცეკვები ლირიულია, აქვს მსუბუქი პლასტიური მონახაზი. მათი მსერულებისას ნიშანდობლივია მომრგ-

ვებია. ხელები, თითებიდან დაწყებული მხრებით დამთავრებული, კორპუსთან ერთად ტალღისებურად მოქნილად მოძ-რაობენ, გველისმაგვარად. ბუხარული ცეკვები ფერგანულთან შედარებით უფრო ტემპერამენტულია, სწრაფვადი და ტექნი-კურად რთული.

ხორეზმული ცეკვები უფრო ძველია, მათი ფესვები შორსაა გადგმული წარ-



ვალეზული პოზები, ფართო და მდორე ბრუნვები ხელის მარჯვნივ, თავების მსუ-ბუქი და თამაშით მოძრაობა, მინაბული, მოკეკლუცო თვალებით გამოხედვა. კორ-პუსის მოძრაობა, ხელის მტევისა და მა-ჯების მიხვრა-მოხვრა, თითქოს რომ ეფე-რებიან სახესა და სხეულს, წარბების ოდ-ნავ შესამჩნევი მოძრაობა - ყველაფერი ეს მეტყველებს ქალების თვითსიყვარულზე, რომელთათვისაც სარკის წინ ცეკვა იყო დიდი სიხარული. შემთხვევითი არ არის, რომ მოძრაობათა დასახელებებს შორის გვხვდება გამონათქვამები: „ლამაზი წარ-

სულში. სწრაფი, ტემპერამენტული ცეკვა, ზოგჯერ წყნარი და ლირიული, მკვეთრი ჩაჯდომებითა და გადასვლებით, მხრების რხევით, ხელების მოძრაობით, ცეკვა, რო-მელიც ცხოველებისა და ფრინველების მოქმედებას მოგვგაგონებს, ცეკვა ბაგირ-ზე, საბრძოლო ცეკვა - ყველაფერი ეს არის ხორეზმული ცეკვა, მრავალწინაგოვანი და მრავალფეროვანი.

ხორეზმული ცეკვები ითვლება ყველა-ზე რთულად შესწავლისა და მსერულების მხრივ. ამიტომ დაინტერესებულ პირებს ურ-ჩევენ, უზბეკური ხალხური ცეკვების გაც-



ბები“, „თმის მოფერება“, „გამოყვანილი წელი“, „სარკეში ცეკვა“, „ოცნება“, „მაზე“, „ტკბილი ბაგეები“, „ულამაზისი“, „ნიაგი“, „ცთუნება“ და სხვა.

ბუხარის ცეკვები უძველეს საცეკვაო სკოლას განეკუთვნება და გამოირჩევა ეროტიული მოძრაობებით, რომლის მი-ზანია მამაკაცის მოხიბვლა. ამ ცეკვებში ბევრი მიხვრა-მოხვრაა, სხვადასხვა ბრუნ-

ნობა დაინყონ ფერგანული საცეკვაო სკო-ლიდან, რომელიც საკმაოდ კარგადაა დამუ-შავებული სწავლების მეთოდის მხრივ.

უზბეკურ ცეკვებში მუსიკალური თანხ-ლება არაჩვეულებრივია. ძირითადი მუსი-კალური ინსტრუმენტი არის დოირა. უზ-ბეკებს სიმღერის თანხლებით ცეკვაც უყ-ვართ, ამასთან, უკრავენ ტაშს ან თითებს ანკაპუნებენ.

## ყურადღება, კონკურსი!

### „ქართული ქორეოგრაფია გავშვითა შემოქმედებაში“

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვა-ნეთა შემოქმედებითი კავშირი და გაზეთი „საქართველოს ქორეოგრაფია“ 2012 წლი-სათვის აცხადებს საერთაშორისო კონ-კურსს „ქართული ქორეოგრაფია გავშვითა შემოქმედებაში“. კონკურსში მონაწილე-ობის მიღება შეუძლიათ ბავშვებს როგორც საქართველოდან, ისე საზღვარგარეთი-დან. მონაწილეთა ასაკი არ უნდა აღემატე-ბოდეს 17 წელს. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ როგორც ბავშვთა ქორეოგრა-ფიული ანსამბლების წევრებს, ისე ბავშ-ვებს, რომლებიც არ არიან დაკავებული

ქორეოგრაფიით, მაგრამ უყვართ ქორეოგ-რაფია და ხატავენ ან ლექსებს, ჩანახა-ტებს, მოთხრობებს უძღვნიან ხელოვნების ამ უნიკალურ დარგს. კონკურსში მონაწი-ლეობის მსურველებმა უნდა წარმოადგი-რონ საკუთარი ნაშრომები რედაქციაში ან კავშირში (თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. 180). ნაშრომს აუცილებლად უნდა დაურთოთ ანკეტური მონაცემები ასაკის, სასწავლებლის მითითებით, ანსამბლის სა-ხელწოდება (ხელმძღვანელის მითითებით), საკონტაქტო ინფორმაცია (სახლის ტელე-ფონი, მობილური, ელ.ფოსტა). კომპეტენ-

ტური უიური წარმოდგენილი ნაშრომები-დან შეარჩევს საუკეთესოებს, რომლებიც გამოქვეყნდება გაზეთის იანვრის ნომერ-ში და განთავსდება კავშირის ვებ-გვერდ-ზე. თითოეულ ნაშრომს მიენიჭება კოდურ-ნი ნომერი. გაზეთის იმავე ნომერში გა-მოქვეყნდება (განთავსდება ვებ-გვერდზე) მაგთის, ჯეოსელისა და ბილინის ნომერი, რომელზეც მთელი თვის განმავლობაში მე-სიჯებით (მესიჯი ფასიანი იქნება) შეგეძ-ლებათ, ხმა მისცეთ თქვენი ფავორიტის ნამუშევარს. თითოეული ხმა გამარჯვებას მიუახლოვებს თქვენს ფავორიტს. გამარჯ-

ვებული ნამუშევრები გამოვლინდება წლის ბოლოს. გამარჯვებულები დასაჩუქრდე-ბიან ფასიანი და სამახსოვრო პრიზებით. გამარჯვებულების გამოვლენის უფლება ექნებათ სპონსორებსაც. საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირი წლის ბოლოს მოაწვობს ნამუშევრების საჩვენე-ბელ გამოფენას თბილისში და საქართვე-ლოს სხვადასხვა რეგიონში.

მამ ასე, საკონკურსო მასალების მიღება დაწყებულია, იქჩართ!

ვის ურევთ წარმატებას!





იუბილე

# სახელოვანი ანსამბლი 90 წლისა

აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი 90 წლისაა. ჩვენი სამშობლოს ეს პოპულარული პროფესიონალური კოლექტივი წარმატებული წარსულითა და აწმყოთი ამყავს. მისი მერმისიცი დიადი ღვაწლის ნათებაა. სხვაგვარად ვერც ვიტყვი ანსამბლის დღემდე მოტანილ წლებზე. ტყუილად არ ეწოდა სანაქებო სახელები: „სახელოვანი ანსამბლი“, „აჭარის თაიგული“, „მშობლიური ანსამბლი“. ჩვენი ხალხი, ხელოვნების მოყვარულნი გულთადად აფასებენ ანსამბლის საქვეყნო შემოქმედებას, უშურველ ზნეკეთილობას.

სახელოვანი ანსამბლის ისტორიით არაერთი ხელოვანი, მოღვაწე და მკვლევარი დაინტერესებულა, გულდაგულ შეუსწავლიათ მისი შექმნის პირველწყაროები და სხვა ხელმოსაკიდი მასალები.

ახლახან გამოვიდა სპეციალური ბუკლეტი, რომელიც მკაფიოდ გვისურათებს ანსამბლის შემოქმედებით ცხოვრებას, ბუკლეტის ავტორია ანსამბლის ახლანდელი დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი თამაზ ბეჟანიძე. ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. იგი ყოველთვის გამოირჩეოდა სცენური ოსტატობით, სადადგომო-ქორეოგრაფიული დიაპაზონით. შემოთხვევით არაა, რომ ბატონი თამაზ არის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე, ღირსების ორდენის კავალერი, ბათუმის საპატიო მოქალაქე.

ბუკლეტის პირველ ფურცლებზე ასახულია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ხატოვანი ნაზრები. აქვეა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ლევან ვარშაბოშაძის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მიხეილ მახარაძის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის გია აბულაძის შინაარსიანი, ოპტიმიზმით აღსავსე შეფასებანი და გულწრფელი მილოცვები.

ბუკლეტს დამაჯერებლობას მატებს წარსულისა და დღევანდელი ფოტო-ილუსტრაციები, ჩანაწერები, რომლებიც გვახსოვებენ სამაგალითო შემოქმედებით მოვლენებთან, აცოცხლებენ წინამორბედ ხელოვანთა დაუვიწყარ სახეებს, ასევე ასახულია ამ შესანიშნავი პროფესიონალური კოლექტივის საქმიანობის პირველი საფეხურები, მეოცე საუკუნის ოციანი წლების დასაწყისიდან, რომ ჩნდება. ამის დასაბუთებაა ბუკლეტის ერთ-ერთი ამონარიდი: „გასული საუკუნის დამდეგს მნიშვნელოვანად მოდუნდა ერის სულიერი და კულტურული ცხოვრების ტრადიციული რიტმი, საზოგადოება აღმოჩნდა რა არსებული დილემის წინაშე, პროგრესულად მოაზროვნე ქართველი მამულიშვილები დღენიადაგ ზრუნავდნენ ხალხში ეროვნული სულის გაღვივებისა და თვითმყოფადი კულტურის შენარჩუნებისათვის. ამ მხრივ, აჭარა განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა.“

1921 წელს ქუთაისიდან მონველი იქნა ცნობილი მუსიკოსი და ლოტბარი მელიტონ კუხიანიძე, რომლის სახელთანაა დაკავშირებული აჭარში ეთნოგრაფიული გუნდის შექმნა... 1922 წლის 11 ივლისს, ერთწლიანი შემოქმედებითი მუშაობის შემდეგ, გაიმართა ანსამბლის პირველი კონცერტი... ყოველი სიმღერის დასრულებას აპლოდისმენტები და ოვაციები ახლდა... სცენა თავიუღრებით აივსო, ბატონი მელიტონი ვერ აუდიოდა მილოცვებს... 1923 წელს მიენიჭო პირველი საგასტროლო მოგზაურობა საქართველოს ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში. გუნდი ეწვია ბორჯომსაც... ზაქარია ფალიაშვილი და ცნობილი ჰედაიგოგი, ვოკალისტი კ. ბარერო აღაფრთოვანა გუნდის ფლერადობამ, სასცენო კულტურამ და რეპერტუარის შესრულების აკადემიურმა დონემ... ანსამბლის პირველმა საგასტროლო მოგზაურობამ ცხადყო რეპერტუარში ქართული ცეკვების ჩართვის აუცილებლობა.

ინდივიდუალურ ცეკვებს („ლეკური“, „ხანჯლური“, „მთიულური“) დაემატა



ცნობილი ქორეოგრაფის დავით ჯავრიშვილისეული მასობრივი „ხორუმი“ და „ფერხული“, რამაც ხიბლი და დინამიზმი შემატა კონცერტის მსვლელობას“. (თ. ბეჟანიძე, მ. კუხიანიძის სახელობის აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, ბათუმი, 2011 წელი, დეკემბერი).

მომდევნო ხანებშიც იმართებოდა გასვლითი კონცერტები. ამ მხრივ ყურადსაღებია 1929 წლის მოგზაურობა რუსეთის ქალაქებში, რაზეც ზარგვად წერდნენ სხვადასხვა გაზეთები. მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლების დასასრულიდან აკადემიური გუნდი კაპელადაც გვევლინება. მათთან საცეკვაო ჯგუფიც არსებობს... თანდათან ჩნდება სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის შექმნის აუცილებლობა.

1945 წლიდან იქმნება ნანატრი პროფესიონალური ანსამბლი. ამ დროიდან საცეკვაო ჯგუფის ხელმძღვანელად ინიშნება 22 წლის ენვერ ხაბაძე, ხალხური ინსტრუმენტული ჯგუფი მიანდეს ვალერიან სადრაძეს, უხვად ნაჯაფარმა, ვალმოხდილმა მელიტონ კუხიანიძემ 1945 წლიდან სიმღერის გუნდი გადაულოცა თავისივე აღზრდილს მირიან ჩხიკვიშვილს. ასე რომ, სამამულოდ ნოდებულის ომის შემდეგ ფართოდ გაიშალა ახალი ანსამბლის შემოქმედება. სცენური კუთვნილება გახდა „ხორუმი“, „დავლური-ქართული“, „ბანი მითხარით ბიჭებო“, „განდაგან“, აფხაზური, ოსური საცეკვაოები, ლაზური შრომის ცეკვა და სხვა. ამასთანავე იცეკვებოდა სომხური, აზერბაიჯანული, რუსული და უკრაინული ცეკვები. ქართული ხალხური სიმღერების გარდა სრულდებოდა სხვა ხალხების სასიმღერო მონაპოვრებიც. პროფესიონალურ კოლექტივს ინვესტირებდა აჭარის მთიანეთსა და ბარის რაიონებში. ასეთი გასვლები მოსახერხებელ გარემოს ქმნიდა, რომ ანსამბლის შემსრულებლები უკეთ გარკვეულიყვნენ ხალხურობის თავისებურებებში. მეოცე საუკუნის ორმოციანი წლების მეორე ნახევრიდან ანსამბლმა უფრო გაააქტიურა „საბჭოეთის“ სხვადასხვა მხარეებში საგასტროლო მოგზაურობანი.

ანსამბლის ისტორიაში წარუშლელია 1957 წლის იანვრის სადეკადო დღეები. თავის ნიგნში - „აჭარის ხელოვნება“ - აჭარის კულტურის ყოფილი მინისტრი ლამარა ბოლქვაძე წერდა: „დეკადისათვის სპეციალურად დაინერა რამდენიმე სიმღერა, მათ შორის: ა. ფარცხალაძის „სიმღერა სარფზე“, შ. მილორავას „მისალმება“, „სიმღერა აჭარაზე“, რ. ლალიძის „სიმღერა საქართველოზე“. მომზადდა ახალი ცეკვებიც: „ოპოი, ნანა“, „ქალო

ნარინჯიანო“, „მებადურული ცეკვა“ და სხვა“. მოგვიტორობს იმასაც, რომ 1961 წელს, 11 ივნისს, საზეიმო ვითარებაში აღინიშნა ანსამბლის 40 წლის-თავი (ლ. ბოლქვაძე, აჭარის ხელოვნება, თბ. 1977 წ.). ამავე 1961 წელს ამ კოლექტივს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული ანსამბლის წოდება და მელიტონ კუხიანიძის სახელი.

უნდა ითქვას, რომ ბუკლეტის ავტორი განსაკუთრებულ როლს ანიჭებს საქართველოს სახალხო არტისტების მირიან ჩხიკვიშვილისა და ენვერ ხაბაძის დამსახურებას, რომელთა შესახებ საინტერესოდ წერია ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში. ორი აზრი არაა, რომ ენვერ ხაბაძე ქართული ხალხური ქორეოგრაფიის ერთ-ერთი რეფორმატორია. შარპან ბათუმის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭა მისი სახელი. ქართული ენციკლოპედიის პირველი ტომის 75-გვერდზე მოხსენიებულია ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელი ენვერ ხაბაძე, მთავარი დირიჟორი გულიკო ნლაიდელი, სოლისტები: ფ. კობლაძე, თ. მიქელაძე, გ. გაბისონია, ვ. ინგოროყვა, გ. ევლუტიძე. ამ ჩამონათვალს შევსებდით სხვა გვარებითაც. ესენია: ვ. შალოკაშვილი, შ. აბშილაძე, ტ. დავითულიანი, თ. ჯახუტაშვილი, მ. ჯეჯეია, თ. ბეჟანიძე, ს. ჭანტურიშვილი, გ. და ჯ. ჩიჩუბიძე, ზ. ბაღდადიშვილი, ან. კანანიძე, თ. ბოლქვაძე, ი. ხილაძე, თ. აკლანდაძე, დ. სარდანაშვილი, ი. ტრაპაიძე, პ. მოვსესიანი, მ. დოლიძე, ნ. შალიკაშვილი და სხვები.

1989 წლიდან სახელოვანი ანსამბლის დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად ინიშნება აღიარებული ხელოვანი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, თემურ ბიბილიშვილი. გუნდს დირიჟორობს გამოცვლილი ლოტბარი, აჭარის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რუსლან გვაზავა. ანსამბლის ახალმა ცვლამ საინტერესოდ დაამუშავა საცეკვაო კომპოზიციები, ხალხური სიმღერები. მხატვრული ინტერპრეტაციით ხასიათდებოდნენ მეომრული „ხორუმი“. სატრფიალო „განდაგან“, ლაზური „მებადურული“, სიმღერა-ცეკვის საქორწილო კომპოზიცია, საზეიმო „ფერხული-ფარცა“. კოლექტივმა თავისი მიზიდველი საკონცერტო სანახობანი კარგად დაამახსოვრა უცხოეთის ხელოვნების მოყვარულებს, რაც ასახულია ცალკეულ პუბლიცისტურ წერილებში.

2004 წლიდან ახალი ცხოვრების მისწრაფებანი ანსამბლს მნიშვნელოვან მოთხოვნებს აღუძრავს. ხელოვნებაში ჭირნახადი თამაზ ბეჟანიძე განსხვავებული სტილით შეუდგა საძიებო-შემოქმედებით საქმიანობას. რუსლან გვაზავა, ახალგაზრდა, ნიჭიერი ქორეოგრაფი ამირან პაიჭაძე, ასევე მთელი დასი ფოლკლორული სახიერებისათვის განაწყო. ჩამოაყალიბა საკამოდო ქორეოგრაფიული ორკესტრი, ტანადი, მარჯვე შემსრულებლობით შეავსო ანსამბლი, კოლორიტული სცენური სამოსელით შეამკო მომღერალ-მოცეკვავე ქალ-ვაჟები, მიღწევებმა არ დაახანეს ყველასაგან განსხვავებული ანსამბლის სახელიც მოიპოვეს.

2009 წლის, 22 ნოემბერს ანსამბლმა საქართველოს დედაქალაქში საზეიმო კონცერტი გამართა. უსაზღვრო სიხარულმა და აღფრთოვანებამ იზიარა იმ დღეს, რაც სრულფასოვნად გაშუქდა ჟურნალ „კამერტონში“ (№11). მასში დაბეჭდილ წერილს ხელს აწერდნენ ფართოდ სულაბერიძე, ომარ მხეიძე, რეზო ჭოხონელიძე, უჩა დვალისვილი, ოლეგ ალაიძე, რეზო ბალანჩივაძე, ბესიკ სვანიძე, თენგიზ უთმელიძე. მართლაც საამო შთაბეჭდილება დატოვა კონცერტმა. ფორმა-შინაარსითა და კომპოზიციური სტრუქტურით გამართულ ცეცხლოვან ცეკვებს ხალხური სიმღერები და მუსიკალური ინსტრუმენტების სასიამოვნო ფლერადობა ცვლიდა. მოცეკვავეებმა ზვიადი გუ-

ლოვანებით, გასაოცარი ოსტატობით გარდასახეს „განდაგან“, „ხორუმი“, „ფარიკაობა“, მოხეური ვაჟთა ცეკვა, „მებადურული“ და სხვა ქმნილებანი. ნათლად გაცნობიერდა, რომ ნამდვილ შემოქმედებით კოლექტივთან დიდოსტატი პროფესიონალები მუშაობენ. განსაკუთრებულად აღინიშნა ანსამბლის ავტორიტეტული, ქართული ფოლკლორის ღრმად მცოდნე ხელმძღვანელის თამაზ ბეჟანიძის ორგანიზატორული, შემოქმედებითი და პატრიოტული მისწრაფებანი. ახლო ხანებში მან მრავალმხთრობელი დღესასწაულებრივი საღამო უსახსოვრა ჩვენს ქალაქს... 2011 წლის 11 დეკემბერს უდიდესი ზეიმი ჩატარდა ბათუმის საუკეთესოდ კონსტრუირებულ კულტურის ცენტრში. იუბილარი ანსამბლის 90 წლის გრანდიოზულ ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს სხვადასხვა მხარეებიდან ჩამოსული ქართული სასიმღერო და საცეკვაო ხელოვნების მოამაგენი, აჭარის თეატრალური, მუსიკალური, ქორეოგრაფიული შემოქმედების, მწერლობის მესვეურნიც გვარიანად იყვნენ.

დიდი კონცერტის დაწყებამდე რამდენი წუთით ადრე აჭარის ტელევიზიამ ჩაიწერა და აღწუსა სახელოვანი მოღვაწეების ჯემალ ჭყუასელისა და ომარ მხეიძის საუბრები, რომლებმაც გულწრფელად თქვეს აჭარის პროფესიონალური ანსამბლის ღირსეული შემოქმედების, სცენური მოღვაწეობის ცხრა ათეული წლის შესახებ, საქმის ცოდნით გააანალიზეს ანსამბლის წვლილი ქართული ხალხური სასიმღერო და ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში.

... დიდი კონცერტი საუცხოო სანახობებით მოიქარგა. რეჟისორ ლევან ლლონტის ჩანაფიქრმა შედეგი გამოიღო. თავდაპირველად სცენაზე ბრგეტანის ყარაჩოხელი და გვერდულად ჩამუხლული კინტოები ამოძრავდნენ, ტემპსაც მოუჩქარეს, გარდაქალაქდა, ზეიმურ მოხაზულობაში დედაქალაქის ერთგვარი მოლოცვა გავარძინებინეს.

როგორც წესი, თითოეული საცეკვაო და სასიმღერო ნომრის შემდეგ თბილი სიტყვები არ დაიშურეს სტუმ-

შემოქმედებითი კავშირის მრავალსიმთქმელი ადრესი.

ანსამბლის ხელმძღვანელობას მისალოცი ადრესი გადასცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ასმათ დიასამიძემ, აჭარის განათლების, კულტურის და სპორტის მინისტრის მოადგილემ ლამპირა ბოლქვაძემ, ბათუმის მერიის განათლებისა და კულტურის სამსახურის უფროსმა ნათია სურგულაძემ. მაღლიანი სიტყვა თქვა პოეტმა ვახტანგ ლლონტმა.

... უდაოდ ფრთაშესხმული, აკადემიური კონცერტი ვიხილეთ 2011 წლის 11 დეკემბერს. ბათუმელები და სტუმრები გაუნვლებელი ტამით აჯილდოებდნენ სცენაზე მოეღვარე მოცეკვავეებს. თითოეული ცეკვა ფერადოვანი პლასტიკურობით სრულდებოდა. ხალხურ სიმღერებს არ აკლდა გამომსახველი ხმანობა. რჩეული გარდასახვით, ანთებული არტისტიზმით მოხატეს „ხორუმი“, „განდაგან“, სვანური, აფხაზური და ოსური ცეკვები, ლირიული „ნარნარი“. ცეკვათა ეპიზოდები ხმაშესხობილი სიმღერების ფონზე იფურცლებოდა, რასაც ხალისიანი სიცოცხლეს მატებდა და საუცხოოდ ფლერადი ორკესტრი, მათი სოლო-ნომრში ცხოვლად ეფინებოდა მსმენელთა გულს. ამ დიდებულ ანსამბლს სხვა ცეკვებიც გააჩნია. ასეთებია: „სამაია“, „დავლური-ქართული“, მოხეური ვაჟთა ცეკვა, ლაზური „სუიტა“. სიმღერებიდან ჩამოივლდა: „აჭარული მაცურელი“, „ელესა“, „მრავალჭამიერი-ასლანური“, საგალობელი „წმიდაი ღმერთო“, „იმერული მგზავრული“, „მეგრული ოდოია“, გურული, სვანური და ქართლ-კახური სიმღერები.

ერთი სიტყვით, ეს მაღლიანი ანსამბლი ყველა ნიშან-თვისებით, მხატვრულ-შემოქმედებით, პროფესიონალური ბიოგრაფიით, რეპერტუარის მრავალფეროვანებით, საძიებო შრომა-გარჯით, ხალხურობისა და თანადროულობის სახიერებით აკადემიურია.

დაბოლოს, ვიტყვით, რომ დიდი კონცერტის აპოთეოზი არ შეიძლება



რებმა და მასპინძლებმაც. მათგან აღსანიშნავია ჟურნალისტი დავით წულუკიძე, ქორეოგრაფები თამაზ მონია, ახმედ ამბალია, ავთო ლომთაძე, ვანო ფეიქრიშვილი, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის კულტურის მინისტრი ომარ ხუბავეი.

ანსამბლის საერთო წარმატებებზე სანაქებოდ გამოვიდა სახელგანთქმული შემოქმედი რევაზ ჭოხონელიძე.

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის სახელით სცენაზე გამოჩნდნენ ცნობილი მოღვაწენი, ქორეოგრაფები ომარ მხეიძე, გივი სისხარულიძე, ალექო ქართველიშვილი, თემურ ჩხაიძე, გიგლა თურქია, მელისი ნადირიძე, მერაბ მორჩილაძე, ზაზა მუჟავანაძე. არაერთხელ დააჯილდოვდა მქუხარე ტამით ომარ მხეიძე და გივი სისხარულიძე. საიუბილეო დარბაზმა ინტერესით აღქვა „ქორეოგრაფიის მოღვაწეთა

გვაყინებდოდეს. ტემპერამენტიანი - „ფარიკაობის“ შემდეგ სახელდახლოდ გადაიშალა დერფიანი. სცენაზე შემობრძანდა ეროვნული ქორეოგრაფიის მშვენიება, ხალხის სიყვარულით დახუნძლული ლევანდაძე ქვეული ქალი, უქროლი სახელის მქონე ფატმა კობლაძე... ამაღლებული განწყობის დარბაზი დიდხანს, დიდხანს უკრავდა ტაშს გრძნულ ხელოვანს... იმ დღეს მისი სახელობის ვარსკვლავიც ჩაავიარისტეს ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის წინ, სადაც მრავალფერად კიაფობენ თამარ სულხანიშვილის, ნინო საკანდელიძის, მანუჩარ შერვაშიძისა და იური ცანავას ვარსკვლავები.

**რაზო ჭანიშვილი**  
**ზაურ ლაზიშვილი**  
2012 წელი, იანვრი



# აუთენტიკური და სასცენო სასაქონლო ფოლკლორის ურთიერთმიმართების საკითხი ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში

ქართული საცეკვაო ხელოვნება განუწყობდა და კავშირები უნდა იქონიებდეს საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციასთან, რომელიც იგი ისტორიულად წარმოიშვა. განვითარების ადრეულ საფეხურზე ცეკვა ემსახურებოდა საზოგადოებას და მაგიურ როლს თამაშობდა ბუნების ამოცნობაში და ბრძოლაში. აუთენტიკური საცეკვაო ფოლკლორი თავდაპირველად ფიქსირდება სხვადასხვა საწარმოებში რიტუალებში, შრომის პროცესებში და დროთა განმავლობაში განვითარებას უწყობს სასცენო ქორეოგრაფიაში. მასში ცალსახად იკვეთება თითოეული კუთხისთვის დამახასიათებელი ყოფა, წეს-ჩვეულებები და ტრადიციები. დროთა განმავლობაში აუთენტიკური საცეკვაო ფოლკლორის თვითმყოფადი სანახაობები თანამედროვე სასცენო საცეკვაო ფოლკლორში დღესდღეობით ნაკლებად ფიქსირდება. ეს გახლავთ ის აქტუალური და პრობლემური საკითხი, რომელიც ქორეოგრაფების მუდმივ დაინტერესებას და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

სასურველია, ცალსახად განვარაგოთ საქართველოში აუთენტიკური და სასცენო საცეკვაო ფოლკლორის ურთიერთმიმართების საკითხები: რა საერთო და რა განსხვავებული ნიშან-თვისებები ახასიათებს ამ ორ მცნებას ერთმანეთთან. გავეჩვენოთ, რა ფუნქცია აქვს აუთენტიკურ და სასცენო საცეკვაო ფოლკლორს. როგორ უნდა დაიდგას ფოლკლორული ცეკვები და რა სადადგომო პრინციპებია გასათვალისწინებელი ამ ძალზედ მნიშვნელოვან პროცესებში. ყურადსაღებად ასევე სასცენო ქორეოგრაფიაში თანამედროვე ტენდენციების არსებობა და სწორი გაანალიზება, თუ რაში მდგომარეობს დღესდღეობით პრობლემათა არსი.

თვით ტერმინი: აუთენტიკური - ნიშნავს თვითმყოფადს, ნამდვილს, სარწმუნოს, პირველწყაროზე დამყარებულს, დედნის შესაბამისს (უცხო სიტყვათა ლექსიკონი. wikipedia). ხოლო ტერმინი - „ფოლკლორი“ მომდინარეობს ისტორიულად ძველ-ინგლისური (საქსონური) სიტყვიდან: ფოლკ (ხალხი) და ლორე (სიბრძნე, ცოდნა). ანუ ხალხის სიბრძნე. ქორეოგრაფიული ხელოვნების გენეზისში ცალსახად იკვეთება და დამოუკიდებელ განშტოებად ფიქსირდება ხალხურ-აუთენტიკური და სასცენო-ხალხური ცეკვები. ფუნქციური თვალსაზრისით, ხალხური ცეკვების ბუნება ესთეტიკურ და უტილიტარულ ფუნქციებს აერთიანებს. ხალხური ცეკვის ესთეტიკა მეტად თავისებურია და მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება ხელოვნების ზოგად ესთეტიკურ კანონებს. იგივე შეიძლება ითქვას ყველა ფოლკლორულ ნიმუშთან მიმართებაში.

ხალხური ცეკვის ესთეტიკური ბუნების თავისებურება მის შემქმნელ-შემსრულებელს საცეკვაოში მდგომარეობს, სადაც შემქმნელი, შემსრულებელი და შემფასებელიც ერთი და იგივე პიროვნებაა. ეს განაპირობებს ნიმუშის არა ზოგადად ქორეოგრაფიაში დადგენილ კრიტიკულ კატეგორიებით შეფასებას, არამედ დაკმაყოფილებას იმ ესთეტიკური მოთხოვნილებებისა, რომელიც შემქმნელ-შემსრულებელ-შემფასებელს (ანუ პიროვნებას, ინდივიდს) გააჩნია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხალხური ცეკვაში არ არსებობს შემსრულებელი განცალკევებულად. შემსრულებელი იგივე მაცურებელია, ხოლო მაცურებელი იგივე შემსრულებელია.

ფოლკლორული საცეკვაო ნიმუშის ორიგინალურობას, ასევე განაპირობებს მისი უტილიტარული დანიშნულება, არსებობა ყოველდღიურ, ყოფითი მოთხოვნილებების მიხედვით. თუ გავიხსენებთ საცეკვაო ხელოვნების პირველ სრულყოფილ ნიმუშებს, მონადირულ-მეომრულ ცეკვებს, ვნახავთ, რომ მისი შესრულება, ნადირების ან ბრძოლის პროცესის პრაქტიკული აღწერა, პირველყოფილი ადამიანის ყოველდღიურ საქმიანობას უკავშირდება.

იგივე შეიძლება ითქვას ტრეპერ და რელიგიურ ცეკვებთან მიმართებაში. მისტიკური აზროვნების ჩამოყალიბება ბუნებასთან დაპირისპირებული ადამიანის უძლურებას გამოხატავს. ყოველდღიურ ღვთაებათა პანთეონს ადამიანი თავისი ყოველდღიური გასაჭირით. ყოფითი პრობლემების დასაძლევად მიმართავს. პოლითეისტური რელიგიური აზროვნების თანახმად, დარგობრივი ღვთაებები ადამიანის ცხოვრების ამა თუ იმ საქმიანობის სფეროს განაგებენ. მათი საიდუმლოები რიტუალები უზედად მოიცავს საცეკვაო ელემენტებს, რომელთა ფუნქციური დატვირთვა, ესთეტიკურთან ერთად, დომინირებულად უტილიტარულ ფორმას ატარებდა.

უტილიტარული ფუნქცია მხოლოდ ხალხურ ცეკვებს გააჩნია. იგი კარგავს თავის დანიშნულებას ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების სხვა საფეხურზე, სადაც მას მთლიანად ესთეტიკური ფუნქცია ენაცვლება.

ხალხური ცეკვა, ისტორიული ხანგძლივობით, ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორიაში ყველაზე წარვალსაუკუნოვან პერიოდს მოიცავს. მისი წარმოშობის დათარიღება, მიახლოებითაც კი, პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან იგი ზოგადად ქორეოგრაფიული ხელოვნების სანყისებრიდან მიდის (ა. სამსონაძის დისერტაცია; ქორ. ხელ. გენეზისი).

აუთენტიკურ საცეკვაო ფოლკლორს და, ზოგადად, ფოლკლორს იმთავითვე ახასიათებს ანონიმურობა, იმროვიზაცია, ვარიანტულობა, ზეპირი ტრადიციებით გავრცელება. ვასილ ბარნოვი ამბობს, რომ: „ერის გულისხმადებს პირველად წარმოთქვამს რომელიმე ნიჭიერი შვილი ერისა, ნათქვამი აღიბეჭდება მსმენელთა მესხიერებაში და გავრცელებდა ზეპირსიტყვიერობით ერთი ადგილიდან მეორე ადგილას, ერთი თაობიდან მეორე თაობაზე“. ზეპირსიტყვიერება ამ კონკრეტულ მოსაზრებაში მხოლოდ და

მხოლოდ მაგალითია და უნდა აღვნიშნოთ, რომ საცეკვაო ფოლკლორზე იგივე ითქმის. აუთენტიკური საცეკვაო ფოლკლორიც ასეთივე ვარიანტულობით, იმპროვიზაციით, ზეპირი ტრადიციების გადაცემით ხასიათდება. მისი გავრცელება და თაობიდან თაობაზე გადაცემა კი იწვევს საცეკვაო ლექსიკის, ტექსტის და, ზოგ შემთხვევაში, შინაარსობრივ ცვლილებებს. ამის თვალსაჩინო მაგალითები მოგვეპოვება ქართულ ხალხურ ფოლკლორში. მაგალითად, როდესაც სუფთა აუთენტიკურ საცეკვაო ნიმუშს გვთავაზობს რომელიმე კუთხის წარმომადგენელი, მისი ზუსტად ხასიათში განმეორება, გარდასახვა ძალზედ რთულია. იგი აუცილებლად ქმნის სწავლის პროცესშივე ვარიანტულობას. ამიტომ აუთენტიკური საცეკვაო ნიმუში პირვანდელი სახით, ყველა ნიუანსის გათვალისწინებით, ვერასდროს გავრცელდება. კანონიკურობა მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურაშია შესაძლებელი.

აუთენტიკური საცეკვაო ფოლკლორის გავრცელება საზოგადოებაში ხდება მომავალ თაობებზე გადაცემის გზით. ისინი სანქსრეულეობა რიტუალებში, შრომის პროცესებში, სახალხო დღესასწაულებში მონაწილეობისას თავისთავად სწავლებენ ხალხში დაეკვიდრებულ საცეკვაო ფოლკლორის იმ ნიმუშებს, რომელთაც გარკვეულწილად შენარჩუნებული აქვთ კუთხური თავისებურებები და კოლორიტული ნიშან-თვისებები.

აუთენტიკური საცეკვაო ფოლკლორი როცა სცენურ სახეს იძენს, აქ უკვე მოცეკვავე და მაცურებელი სხვადასხვა სივრცეში იმყოფებიან, მათი ფუნქციებიც სხვადასხვაა. მაგრამ ერთმანეთთან დამოკიდებულებას არ გამოიცილებს და, მეტიც, ეს ძალზედ მნიშვნელოვანი ფაქტორია სასცენო ხელოვნებაში. მოცეკვავის თუ მაცურების სფეროების შეფასება და აღიარება ხომ სწორედ ამ მომენტში ხდება. ადრესატი ყველა ხელოვნების საზრუნავია, რადგან ის ნაწარმოებს თავისთვის არ ქმნის. მაგრამ სცენის ხელოვნებისთვის მაცურებელი უზრუნველ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. მისი მხატვრული ნაწარმოები არ არსებობს მაცურებლის გარეშე. უნდა აღვნიშნოთ, რომ „როდესაც სცენიდან გავარდებიან არა ინფორმაციას ამა თუ იმ მოვლენის შესახებ, არამედ ამ მოვლენის მხატვრულ, ემოციურ სახეს, მაშინ ჩვენი ინტერესი სცილდება ცნობისმოყვარეობის ფარგლებს და ესთეტიკურ სფეროში გადადის“ (ნ. ურუშაძე. „სახლის სათამაშო“). სასცენო ესთეტიკის კანონები კი აუცილებლად გასათვალისწინებელია თითოეული ხელოვნების მიერ, რა ჟანრის ნაწარმოებსაც არ უნდა ქმნიდეს იგი.

სასცენო საცეკვაო ფოლკლორის ჩამოყალიბების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პერსონად გვევლინება დამდგმელი ქორეოგრაფი (პროფესიონალი), რომელიც გარკვეულ შემოქმედებით სამუშაოს ასრულებს იმისათვის, რომ ესა თუ ის იმროვიზირებული აუთენტიკური საცეკვაო ფოლკლორი სასცენო კანონების გათვალისწინებით მაღალმხატვრული ღირებულების ნიმუშად წარმოგვიდგინოს, სანახაობას, რიტუალს, სასცენო განხორციელებისას, მისცეს დრამატურული განვითარების ხაზი. მისი უშუალო პრეროგატივაა, აუთენტიკურ საცეკვაო ფოლკლორს უფრო მეტი ესთეტიკურობა შესძინოს, რადგან მიზანი ამ შემთხვევაში აბსოლუტურად სხვაა. ფაქტი იმისა, რომ ცეკვა აღარაა უტილიტარული დანიშნულების და იქნის სანახაობრივ ფუნქციას, ეს ძალზედ მნიშვნელოვანი ფაქტორია და ქორეოგრაფი ცდილობს, გაეცეს იმ პრიმიტივიზმს, რაც უსათუოდ ახასიათებდა მას. სასცენო საცეკვაო ფოლკლორში ხლიდება ქორეოგრაფის, როგორც შემოქმედის, ხელოვანის ინდივიდუალიზმი და ფანტაზია. ამ შემთხვევაში მის ცოდნაზე, პროფესიონალიზმსა და ნიჭზე დამოკიდებული კონკრეტული ცეკვის მხატვრული ესთეტიკური ღირებულებანი. მისი, როგორც დამდგმელი ქორეოგრაფის მსოფლმხედველობა ძალზედ ფართო და მასშტაბური უნდა იყოს.

იმისათვის, რომ ქორეოგრაფმა დადგას ფოლკლორული ცეკვა, საჭიროა პროფესიონალურად მიუდგეს დაკისრებულ მოვალეობას, რაც პირველ რიგში გულისხმობს აუთენტიკური საცეკვაო ნიმუშების საფუძვლიან შესწავლას. ამისათვის კი დამდგმელი ქორეოგრაფი გადის სხვადასხვა სამუშაო ეტაპებს, რომელიც შესაძლებელია დავეყთ ორ ნაწილად, ესენია:

1) თეორიული მუშაობა. თეორიული მუშაობის პროცესში იგი ეცნობა ამ კუთხის გეოგრაფიას, ისტორიას, (დოკუმენტურ მასალას) ეთნოგრაფიას, ზოგადად ფოლკლორს (პოეზია, პროზა, მუსიკა), აუდიო და ვიდეო ჩანაწერებს (ოპერა, ბალეტი, კინო). ეცნობა პროფესიულ ქორეოგრაფიულ ლიტერატურას. ამის შემდეგ სასურველია, მოამზადოს ინდივიდუალური საექსპერიმენტო კითხვარი, სადაც გათვალისწინებული იქნება ის აუცილებელი საკითხები, რისი შემდგომიც პასუხები გაეცემა კონკრეტულ კითხვებს.

ქორეოგრაფი საველე მუშაობის დროს შემოქმედებით ჯგუფთან ერთად საფუძვლიანად შეისწავლის აუთენტიკურ საცეკვაო ნიმუშებს. იგი, ამავდროულად, თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით (აუდიო, ვიდეო) მოახდენს მათ ფიქსაციას. თეორიული მუშაობის ბოლო ეტაპი გახლავთ უკვე შესწავლილი მასალის გადარჩევა, განცალკევება, ძირითადის და საჭიროს ამორჩევა. რის საფუძველზეც დამდგმელი ქორეოგრაფი შემოქმედებით ჯგუფთან ერთად იწყებს აუთენტიკური საცეკვაო ნიმუშების სასცენო დამუშავებას, ხალხური ცეკვის დადგმას.

2) პრაქტიკული მუშაობა. ქორეოგრაფის პრაქტიკული მუშაობა, თავის მხრივ, კიდევ ოთვალისწინებს თეორიული მუშაობის პროცესებს სადადგმო თვალსაზრისით. მაგრამ ამ ეტაპზე ამ საკითხზე არ შეგვირდებით. წინამდებარე თემიდან გამომდინარე, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის, თუ რა და რა მომენტებია გასათვალისწინებელი ფოლკლორული ცეკვის სასცენო დამუშავებისას სადადგმო ხელოვნებაში. რას უნდა მივაქციოთ ყურადღება და რა არის მიუღებელი, არასწორი და რა მისაღები.

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ საჭიროა, შევინარჩუნოთ აუთენტიკური ნიმუშების ძირითადი ფორმა და შინაარსი. რა თქმა უნდა, სცენური გადაწყვეტის პროცესში აუცილებელია ფორმების სრულყოფა, განვითარება, მაგრამ არა მათი დამახინჯება. დამდგმელი ქორეოგრაფი უნდა მიისწრაფოდეს, უფრო ნათლად და რელიეფურად გამოხატოს ცეკვის შინაარსი, განავითაროს მისი კომპოზიცია და პლასტიკა. ერთ-ერთი ძირითადი კითხვა, რომელსაც ქორეოგრაფმა უნდა გასცეს პასუხი, არის: როგორია ნაწარმოების შინაარსი? იმდენად, რამდენადაც ცეკვის ფორმას მისი შინაარსი განაპირობებს, ახალი ცეკვის შეთხზვისას ძალიან მნიშვნელოვანია პირველწყაროში შეაჩინოს და ასახოს ხალხური ცეკვის ემოციურობა, ტემპერამენტი, მისი ხატოვანი წყობა. ცეკვა უნდა ვითარდებოდეს დრამატურების კანონების მიხედვით. ფოლკლორული ცეკვის დამუშავებისას ქორეოგრაფის ამოცანაა, აჩვენოს სცენიდან კონკრეტული ხალხის ხასიათის ტიპური ნიმუშები და აკადემიური შესრულების მაგალითი ეროვნული თვისებების შენარჩუნებით.

ქორეოგრაფიულ საზოგადოებაში, დღესდღეობით, ძალზედ აქტუალურია აუთენტიკური საცეკვაო ფოლკლორის სასცენო დამუშავების ფორმები. ამის შესახებ ობიექტური თუ სუბიექტური მოსაზრებებია. თუ დავაკვირდებით, ძირითადად აზრი ორად იყოფა: 1) აუთენტიკური ფოლკლორი გასცენიერდეს ისე, რომ მიზნობრივი დოზით ეროვნულ მის დადგმაში ქორეოგრაფის ფანტაზია და 2) აუთენტიკური საცეკვაო ნიმუშები იყოს მხოლოდ საფუძვლიანი ფოლკლორული ცეკვის დადგმისა, სადაც მნიშვნელოვანი როლი მიენიჭება დამდგმელი ქორეოგრაფის შემოქმედებით ნიჭს, ფანტაზიას.

ამ თემაზე ქართულ ხალხურ მუსიკალურ ფოლკლორში დიდი ხანია, ცალსახად ფიქსირდება ფოლკლორის პირველადი (აუთენტიკური) სახეობების გამიჯვნა მეორეული, მათ შორის, ხაზგასმულად სცენური ფორმებისა. ედი-შერ გარაყანიძე თავის ნაშრომში: „ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლები“, მოყავს სხვადასხვა უცხოელი ავტორის მოსაზრებები ამ საკითხზე. იგი ამბობს, რომ: „ე. ალექსევი საგანგებოდ სცენაზე შესრულებისათვის განკუთვნილ ფოლკლორს ფოლკლორისგან განსაკუთრებით გამოიყოფა და იწინააღმდეგება მისი დამამკვიდრებელი ფოლკლორისგან“. მისი დამამკვიდრებელი ნიმუშები სცენური ინტერპრეტაციისას, ყველა შემთხვევაში უფრო

ფოლკლორიზმია, ვინაიდან სცენა თავისთავად გახლავთ მუსიკალური ფოლკლორისა და პროფესიული მუსიკის ურთიერთქმედების საწყისი ეტაპი, გადასვლა არაფორმალურ ფორმებზე. იგივე ავტორი ახარისხებს სცენაზე წარმოდგენილ ფოლკლორს შემსრულებელთა მიხედვით: „(...) ფოლკლორი სცენაზე შეიძლება წარმოადგინონ თავად ფოლკლორის მატარებლებმა და „გარეშეშეშე“, რომლებიც საგანგებოდ ეუფლებიან ფოლკლორულ ტრადიციებს. შესაბამისად, განიჩნება პირველადი და მეორადი ანსამბლები (...) მიზანშეწონილია შემდეგი სისტემატიზაცია:

1. დაუმუშავებელი ფოლკლორი სცენაზე:
  - ა) პირველადი ანსამბლების შესრულებით: თავად მოცემული ფოლკლორული ტრადიციების მატარებლები ასრულებენ საკუთარი რეგიონის რეპერტუარს თავიანთი ლოკალური მანერით, მაგრამ ახალ სამშენსრულებლო კონტექსტში, ყოფის გარეშე საკონცერტო ფორმით.
  - ბ) მეორეული ანსამბლების შესრულებით: მათ შემადგენლობაში არიან პროფესიონალები, მოცემულ ტრადიციასთან გარედან მოსულინი, რომლებიც სხვადასხვა ეთნოკალური ტრადიციის ფოლკლორულ რეპერტუარს ეუფლებიან.
2. დამუშავებული ფოლკლორი სცენაზე:
  - ა) სიმღერისა და ცეკვის ანსამბლების შესრულებით;
  - ბ) აკადემიური გუნდების შესრულებით, რომლებიც სტილიზებულ ფოლკლორულ რეპერტუარს ეუფლებიან.

ზემოთ მოყვანილი დებულებიდან შესაძლებელია დავასკვნათ, რომ პირველად ანსამბლად იწოდება მხოლოდ ის, რომელიც უშუალოდ ფოლკლორული ტრადიციების მატარებლებისგან შედგება. ესეთად წარმოგვიდგება, მაგალითად, მესტიის რაიონის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „რიკო“ და აჭარის ანსამბლი „ბერძენი-ხა“, რომელსაც თამაშად შეგვიძლია ვუწოდოთ პირველადი (აუთენტიკური) ფოლკლორის ანსამბლები, ხოლო ფოლკლორის, წარმოდგენილს „გარეშეთა“ ტრადიციის მატარებელთა მიერ დამუშავებული სახით - მეორეული საცეკვაო ფოლკლორი. (დამუშავებაში იგულისხმება ის პროცესები, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ).

დღესდღეობით შეიძლება ითქვას, რომ აუთენტიკური საცეკვაო ფოლკლორი გადასარჩენია. ხალხი აქამდე შემორჩენილი ნიმუშები მხოლოდ რამდენიმე რეგიონშია ფიქსირდება და სასურველია, დაინტერესება თითოეული ქორეოგრაფის მხრიდან უფრო მეტი იყოს. საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ქართულ სოფლურ ყოფაში მომდინარეობს ძირეული ცვლილებები თავისი ღრმა კვალი დააჩნია ხალხური შემოქმედების ფუნქციონირებას, დაიკარგა და დაკარგებას მიეცა ამა თუ იმ ცეკვასთან შეზღუდული მრავალი რიტუალი თუ ტრადიცია; მეცნიერულ ტექნიკურმა პროგრესებმა შრომის პროცესში, შრომის სახეობებში მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია. ნაწილობრივ გადასხვაფერდა ადამიანის ფსიქოლოგია, რაც საგრძნობლად აისახა საცეკვაო ფოლკლორზეც.

ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში მწვავედ დგას პრობლემები, რომელიც გამომდინარეობს თანამედროვეობიდან. არასწორი სასცენო ტენდენციები ხელს უშლის ხალხური ქორეოგრაფიის სწორად განვითარებას. ხშირ შემთხვევაში მივიწყებულია კუთხური თავისებურებანი და ტრადიციები კი ბოლო პლანზე გადატანილი. ზოგიერთი ქორეოგრაფიული დადგმა მხოლოდ ვიზუალურ ეფექტებზეა დამყარებული და აბსოლუტურად არ იკითხება მასში წარსულის ნაკვალავი, ტრადიციები. არადა, ეს ის საფუძველია, რაზეც უნდა ვითარდებოდეს ქართული ხალხური სასცენო ქორეოგრაფია და ამის უზუსტულებლყოფა და იგნორირება ყოველად დაუშვებლად მიგვაჩნია. ვფიქრობ, დადგა დრო, როდესაც ამ საკითხებით სერიოზულად უნდა დაინტერესდნენ პროფესიონალები. სწორედ ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ შეძლებისდაგვარად გამემახვილებინა ყურადღება პრობლემაზე, გამეანალიზებინა რიგი საკითხები, რაც აუთენტიკური და სასცენო საცეკვაო ფოლკლორის ურთიერთმიმართების საკითხს შეეხებოდა. შემდგომშიც სასურველია, მოვისმინოთ სხვადასხვა ქორეოგრაფებისა თუ ქორეოლოგების დამოკიდებულება ამ საკითხსადმი და თითოეული ინდივიდუალური თუ მეცნიერული შეხედულებები პრობლემის გადაჭრის გზად წარმოგვიდგეს.

ანა ღვინიაშვილი,  
მაგისტრანტი.

ხელმძღვანელი:  
**უჩა ღვალაშვილი,**  
ხელოვნებათმცოდნეობის  
დოქტორი, პროფესორი



# „მინდია“ - სანიმუშო ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი



ალექსანდრე ქართველიშვილი - სანიმუშო საბავშვო ანსამბლის ხელმძღვანელი

დაიბადა 1958 წლის 17 მაისს თბილისში. დაამთავრა თბილისის 23-ე საშუალო სკოლა, მისი პირველი პედაგოგი იყო ქალბატონი თინათინ ზაქარეიშვილი. განსაკუთრებით უყვარდა პუმანიტარული საცენტები. 5-6 წლის ასაკში დაიწყო ცეკვა მამასთან, ცნობილ ქორეოგრაფ შალვა ქართველიშვილთან, თბილისის ტრიკოტაჟის კომბინატის კულტურის სახლში. 1975 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც დაამთავრა 1981 წელს ეკონომისტი სპეციალობით. პარალელურად, 1976 წელს, სწავლობდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საზოგადოებრივი პროფესიების ფაკულტეტის ქორეოგრაფიულ

განყოფილებაზე, რომელიც დაამთავრა 1979 წელს (დეკანი - ბესიკ სვანიძე, ავთანდილ თათარაძის კურსი). იმავდროულად, ცეკვავდა უნივერსიტეტის ანსამბლში, ჯერ ბატონ რომან ჭოხონელიძის, შემდეგ რეზო ჭანიშვილის, თენგიზ სუხიშვილის, თენგიზ ყურაშვილის და ბესო ყურაშვილის ხელმძღვანელობით. 1980-82 წლებში მუშაობდა დაიწყო საქართველოს ხალხური შემოქმედების ილიკო სუხიშვილის სახელობის ანსამბლში მოცეკვავე-მსახიობად. 1976 წლიდან დღემდე მუშაობს თბილისის 39-ე საჯარო სკოლასთან არსებული ქორეოგრაფიული სტუდიის ხელმძღვანელად, სადაც ჩამოაყალიბა სტუდიასთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „მინდია“, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელიცაა. 1982-96 წლებში მუშაობდა გლდანის რაიონის განათლების განყოფილების ინსპექტორად ქორეოგრაფიის დარგში. 1996-2006 წლებში - თბილისის განათლების სამმართველოს ესთეტიკური აღზრდის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარედ. 1997-2005 წლებში ორი ვადით იყო არჩეული ქორეოგრაფიული კავშირის თბილისის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ. არაერთი თაობა ჰყავს აღზრდილი, რომელთაგანაც ბევრი ცეკვავდა და ამჟამადც ცეკვავს პროფესიონალურ ანსამბლებში. მოღვაწეობს პერიოდში ასობით ფესტივალ-კონკურსში აქვს მიღებული მონაწილეობა როგორც უცხოეთში, ასევე ქვეყნის შიგნით; არის ამ კონკურსებისა და ფესტივალების ლაურეატობის, პირველი ხარისხის დიპლომების, ოქროს მედლებისა და გრან-პრის მრავალჯერ მფლობელი.

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის 2011 წლის 25 ნოემბრის დადგენილებით „სანიმუშო საბავშვო ქორეოგრაფიული ანსამბლის“ წოდება მიენიჭა თბილისის 39-ე საჯარო სკოლასთან არსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლს „მინდია“ (სამხატვრო ხელმძღვანელი ალექსანდრე ქართველიშვილი). ჩვენი კორესპონდენტი ახლახან შეხვდა და ესაუბრა ბატონ ალექსანდრე ქართველიშვილს.

- ანსამბლი „მინდია“ 35 წლისაა. ამ ხნის მანძილზე უამრავ კონკურს-ფესტივალში მივიღეთ მონაწილეობა, მივალნიეთ უამრავ ნარმატებას, ჩვენს არქივს ამშვენებს მრავალი ოქროს მედალი, სიგელი, გრან-პრი. 1979-81-83-85-87 წლებში ზედიზედ მოვიგეთ რესპუბლიკური ოლიმპიადები, სისტემატურად გვინვედენენ ყველა სამთავრობო ღონისძიებაში. სამწუხაროდ, ერთი ხანობა შეფერხდა ქორეოგრაფიის განვითარება, აღარავის ეცალა მისთვის, ყველა პოლიტიკური ბატალიებით იყო დაკავებული, პოლიტიკაში გარდამავალი ეტაპი დგებოდა. ანსამბლი მაინც შევიწარმინეთ და გადავარჩინეთ, საკუთარი ხარჯებით დავინწყეთ საზღვარგარეთ გასვლები საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსებზე. აქაც ნარმატებით გამოვედით, ზედიზედ ვხდებოდით ყველა ფესტივალის გამარჯვებული, ლაურეტი, გრან-პრის მფლობელი. 1983 და 1998 წლებში გავხდით წლის საუკეთესო ანსამბლი. 1997 წლიდან კვლავ აღდა რესპუბლიკური მასშტაბის ფესტივალების ჩატარების ტრადიცია და ქორეოგრაფიული ცხოვრება კვლავ საინტერესო გახდა. რისი თქმა მინდა, მიუხედავად ამდენი ნარმატებისა, საზღვარგარეთ მიღებული ჯილდოებისა და აღიარებისა, ის, რაც მოხდა 2011 წლის მინურულს დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულ ღონისძიებაზე, ჩემთვის იქნება წარუშლელი. ამსამბლი „მინდია“, სხვა საბავშვო ანსამბლებთან ერთად, სანიმუშო საბავშვო ქორეოგრაფიულ ანსამბლად იქნა აღიარებული. მე ასე მიმაჩნია, კარგია, როცა უცხოეთში ტაშს გიკრავენ, მაგრამ დიდებულია, როცა შენს ქვეყანაში გაღიარებენ და ღვაწლს სათანადოდ დაგიფასებენ. ამ წოდების მიღება ჩვენთვის ყველაზე დიდი ნარმატებაა. ნამდვილად არ ვაჭარბებ. ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის ხელმძღვანელობას, მის ახალგაზრდულ გუნდს მად-

ლობა მინდა გადავუხადო ჩვენი ღვაწლის ესოდენ დაფასებისათვის. ნამდვილად დროული და საჭირო იყო ამ წოდების შემოღება. სამთავრობო ორგანიზაციები აღარ გვანებიერებენ წოდებების მონიჭებით, არადა, ეს დიდი სტიმულია ქორეოგრაფებისთვის, ანსამბლების მოცეკვავეებისთვის. ჩვენი ავტორიტეტი ერთი-ორად ამაღლდა, ანსამბლი უფრო პოპულარული გახდა, მოიმატა ჩვენთან მოსვლის მსურველმა. განა ეს ცოტას ნიშნავს? დროული იყო სახელობითი პრემიებისა და მედლების დანერგვა. ნამდვილად ღირსეული ადამიანები დაჯილდოვდნენ. მაგრამ, მომავალში კარგი იქნება, თუ ამ წოდებებზე, პრემიებზე რამდენიმე კანდიდატურა იქნება წარდგენილი და შესაბამისი ღონისძიებები კომისია გამოავლენს გამარჯვებულს. თუ დავიწყებულა, უფრო მეტი დრო უნდა დაუთმონ ამ საკითხს. ამ კუთხითაც მუშაობაა ჩასატარებელი.

ვსარგებლობ შემთხვევით და ვულოცავ ყველა სანიმუშო ანსამბლს, ყველა ქორეოგრაფს ღვაწლის დაფასებას, ვულოცავ ბავშვებს, მათ მშობლებს. მადლობას მოვასხენებ ბატონ რეზო ჭანიშვილს, კავშირის ყველა თანამშრომელს.

რაც შეეხება ჩვენი სამომავლო გეგმებს. ანსამბლი მინვესტირებს საფრანგეთში, ქ. ლაროშეს ტრადიციულ საზაფხულო (ივლისი) ფესტივალში და ვემზადებით იქ ნარმატებით გამოსასვლელად. თებერვლის ბოლოს ვიცეკვებთ „ოქროს ცურის“ ფესტივალზე ბაკურანიში. ამჟამად ანსამბლში 50 ბავშვია. ყველა კარგად ცეკვავს, მაგრამ მაინც მინდა რამდენიმე გააცანოთ: გუჯა კაბუ-ლაშვილი, ლაშა ბერიკიშვილი, ცოტნე ჩიჭაური, ჯემალ კარელიძე, ნინო ამირიძე, ნუცა ბიბილაშვილი, ანი ამინაშვილი, სალომე ირიაშვილი, ანი თათარაშვილი, ელენე მახარაძე, მარიამ კვიციანი...

**რედაქციისათვის:** ნარმატებას ვუსურვებთ ამ მართლაცდა შესანიშნავ ქორეოგრაფიულ ანსამბლს. მიგმართავთ ბიზნესმენებსა და ნარმატებულ კომპანიებს, იქნებ დაუდგეთ გვერდში ანსამბლს და ფინანსური მხარდაჭერით ხელი შეუწყოთ მის ნარმატებით გამოსვლას საფრანგეთში, რომ ამ შესანიშნავმა ბავშვებმა, სანიმუშო ანსამბლმა სანიმუშოდ და დიდებულად წარმოაჩინოს ქართული კულტურა, ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნება ევროპაში.

# წლის ქორეოგრაფი - ტარიელ გოგობერიშვილი

დაიბადა 1955 წლის 14 აგვისტოს თეთრიწყაროს რაიონის სოფ. ასურეთში. 1972 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა. მისი პირველი მასწავლებელი იყო მარო რეხვიაშვილი. იხსენებს, რომ განსაკუთრებით უყვარდა ისტორია და ისტორიული ნაწარმოებები. 1971-75 წლებში სწავლობდა და დაამთავრა ი. სუხიშვილის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიული 5-წლიანი სკოლა-სტუდია, შემდეგ სახალხო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიის ფაკულტეტი. ცეკვა 1965 წელს დაიწყო ასურეთის კულტურის სახლში ბატონ ჯანო გოჭაძის ხელმძღვანელობით. 1971 წელს ჩაირიცხა ი. სუხიშვილის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიულ სკოლა-სტუდიაში, ფრიდონ სულაბერიძის კლასში. ცეკვავდა ანსამბლ „გორდაში“ ბესიკ სვანიძის ხელმძღვანელობით, აგრეთვე ანსამბლ „მხედრული“ ჰამლეტ კობეშვილის ხელმძღვანელობით. საბავშვო ქორეოგრაფიაში დამოუკიდებლად მუშაობა დაიწყო 1973 წლიდან, სადაც დღემდე განაგრძობს მოღვაწეობას. ამჟამად აქვს კერძო საბავშვო სტუდია, ხელმძღვანელობს ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ლაშარს“. ანსამბლმა 1993 წელს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩაატარა ორგანოფილემიანი სოლო-კონცერტი. მრავალჯერ აქვს მიღებული მონაწილეობა უცხოეთსა და საქართველოში ჩატარებულ ფესტივალებსა და კონკურსებში, მრავალჯერ აქვს მიღებული ლაურეატობა და მედლები. მისი აღზრდილი ბევრი მოცეკვავე დღეს წარმატებით მოღვაწეობს ქართულ ქორეოგრაფიაში.



## საჩივრ გოგობერიშვილი: მეამაყება ეს საპატიო წოდება

მკითხველისათვის უკვე ცნობილია, რომ საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის გადაწყვეტილებით 2011 წლის ქორეოგრაფიის წოდება მიენიჭა შპს „ლეგო-ჯორჯიასთან“ არსებულ ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ლაშარს“ სამხატვრო ხელმძღვანელსა და დირექტორს, ბატონ ტარიელ გოგობერიშვილს. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი შეხვდა წლის ქორეოგრაფს და შთაბეჭდილებების გაზიარება სთხოვა.

- მთელი წლის განმავლობაში ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის ახალმა ხელმძღვანელობამ უდიდესი შრომა გასწია ქართული ქორეოგრაფიის პოპულარიზაციის ასამბლელად, განსაკუთრებულად, ჩატარდა არაერთი კონკურსი და ფესტივალი, რომელსაც აშუქებდნენ ცენტრალური ტელევიზიები. ეს ცოტას როდი ნიშნავს. კავშირს არ ჰქონდა ოფისი, ახლა, დროებით, მაგრამ მაინც მოგვარდა ეს პრობლემა, ქორეოგრაფებმა ვიცინა, სად შევიკრიბოთ, თუ რამე პრობლემური საკითხი გვაქვს გასარკვევად-გადასაწყვეტი. ეს დიდი დამსახურებაა ბატონი რეზო ჭანიშვილისა, იური ტორაძისა, ოლეგ ალავეიძისა და იმ ახალგაზრდა ქორეოგრაფებისა, რომელთაც იტვირთეს კავშირში მუშაობის სიმძიმე. წლის დამავიჯრევიანებელი ღონისძიება იყო შემავარდნითი კონცერტი დიდ საკონცერტო დარბაზში, ქვეყნის მთავარ სცენაზე. აქ გამოვლდა ყველა ანსამბლისათვის, მით უმეტეს საბავშვო ანსამბლებისათვის, საპატიოა და საპასუხისმგებლო. მადლობის მეტი რა გვეთქმის. მართალი გითხრათ, ძალიან ვინერვიულე კონცერტის წინ. ძნელია, დიდ სცენაზე გამოსვლა, როცა ანსამბლის წევრთა უმეტესობას არ აქვს ამის გამოცდილება და არც შესაბამისი დრო გვაქვს რუბრიკისათვის და ე. წ. ავლიმატიზაციისათვის. არავის გასყვედურობ, მაგრამ მომავალში ასეთი დიდი კონცერტები უფრო ორგანიზებული უნდა იყოს, მით უმეტეს, როცა წინასწარ იცი, რომ ეს დარბაზი არ არის გათვალისწინებული ამდენი ანსამბლის ერთდროულად გამოსვლისათვის, არ არის საკმაო რაოდენობის გასახდლები. არც ანსამბლების მესვეურები აღმოჩნდნენ მომზადებულნი. ზოგიერთმა სცენა სარუბრიკიოდ დიდი ხნით დიაკავა და სხვას არ მიეცა საშუალება ნორმალური რეპეტიციისათვის, ზოგმა ფონოგრამა გამოიყენა, ზოგმა, მგონი, მუსიკოსებიც კი ჩართო რეპეტიციაში. დამეთანხმებიან კოლეგები, ასე არ შეიძლება. მიუხედავად ასეთი მცირე ხარვეზებისა, მთლიანობაში ყველაფერი იყო დიდებული. ჩემთვის საამაყოა წლის ქორეოგრაფის წოდების მონიჭება. მასამოვნოა, როცა ხედავენ და აფასებენ შენს მიერ განუღებულ მუშაობას, ღვაწლს. ეს

დიდი სტიმულია ჩემთვის და ჩემი ანსამბლის თითოეული წევრისთვის. უფრო მეტი შემართებით და მონდომებით შევედებით ახალი წლიდან მუშაობას. გველოდება ახალი შეხება ანსამბლში. ვმუშაობთ რეპერტუარის გამრავალფეროვნება-დახვეწაზე. ვემზადებით ზაფხულისათვის, როცა გველოდება გასტროლები საზღვარგარეთ.

აქტიურად ვთანამშრომლობ კავშირთან. აქ ჩემი მეგობრები არიან და მე ყოველთვის მათ გვერდით ვიქნები. მინდა შევთავაზო კავშირის ხელმძღვანელობას საგასტროლო სამსახურის შექმნა, რომელიც დაგეგმავს და ორგანიზებას გაუწევს საუკეთესო ანსამბლების საზღვარგარეთ საგასტროლო გასვლებს. ეს უფრო მეტად გაზრდის კავშირის ავტორიტეტს და ხელს შეუწყობს ანსამბლების წარმატებას. ვიცი, ძნელია, საკმაოდ რთულია ასეთი მოქნილი სამსახურის შექმნა, როცა ირგვლივ ამდენი კერძო კომპანია ამ საქმიანობითაა დაკავებული, მაგრამ ეს მაინც გასაკეთებელია, რადგან საზღვარგარეთ გასაგზავნი ანსამბლების სამშენ-რულებლო ღონეზე ყო რგანიზაციები ნაკლებად ფიქრობენ, მათთვის მთავარი შემოსავალია. კავშირი კი ერთზეც იზრუნებს და მეორეზეც. არც ის იქნება ურიგო, თუ ცნობილი ქართველი ბიზნესმენები და დიდი და მდიდარი ფირმები სპონსორობას გაუწევენ საგასტროლოდ მიმავალ ანსამბლებს. ეს იქნება მათი მხრიდან ქართული ქორეოგრაფიის განვითარებაში თანხის ინვესტირება. ეს პროცესი კი უკვე დაიწყო. სხვაგვარად, ქართულ ქორეოგრაფიას გაუჭირდება წინსვლა და განვითარება. ამ საქმეს ნაკლებად წაადგება სკოლებში ცეკვის სწავლების სავალდებულოობა. რატომაც არა, კარგია თუკი ახალგაზრდას ასწავლი ცეკვას სამოყვარულო ღონეზე, კარგია, თუ იგი ლამაზად იცეკვებს მეგობართა წრეში, ბანკეტზე, საკუთარ ან სხვის ქორწილში, დაბადების დღეზე, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს პროფესიონალიზმის გვერდზე განვიღო და მისი უგულვებელყოფის ხარჯზე. პირველ რიგში საჭიროა ქართული ქორეოგრაფიის პროფესიონალურ განვითარებაზე ზრუნვა.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ყველას ჩემი ღვაწლის დაფასებისათვის.

**ჩაღაძის სახლი**  
მიგმართავთ ქორეოგრაფებს, ჟურნალისტებს, პედაგოგებს, უზრალოდ ქორეოგრაფიის პრობლემებით დაინტერესებულ პირებს - აქტიურად ითანამშრომლეთ გაზეთის რედაქციასთან, მოგვანოდეთ საინტერესო მასალები. არცერთი თქვენი პუბლიკაცია უყურადღებოდ არ დარჩება.

<b>საქართველოს ქორეოგრაფია</b> მის.: თაბიისი, დავით აღმაშენებლის ბაგ8. №180	<b>სარედაქციო საბჭო:</b> რეზო ჭანიშვილი; ოლეგ ალავეიძე; რევაზ ბალანჩივაძე; უჩა დვალისხილი; ზაურ ლაზიშვილი; ნინო მდევაძე; ბესიკ სვანიძე; თენგიზ უთმელიძე.	საავტორო უფლებები დაცულია, მასალების გადაბეჭდვა რედაქციისთან შეუთანხმებლად დაუშვებელია, ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. მასალებს ხუთ ნაბეჭდ თაბახზე მერს ნუ შემოგვითავაზებთ. შესაძლოა მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებოდ.	<b>ნომრის რედაქტორი</b> <b>აშირან ბუთურიშვილი</b> ტელ: 2 45 49 02; 2 15 50 14; 5 99 55 15 84.
--	--	---	---